

# Arabesque

BALLET MAGAZINE

არაბესკი ჟურნალი ბალეტზე

No1(24)'15



თბილისის საკონცერტო დარბაზი  
TBILISI CONCERT HALL



გაძარბაზო ფალიაშვილის სახელობის თბილისის

ოპერისა და ბალეტის  
სახელმწიფო პროფესიული თეატრი

ZAKARIA PALIASHVILI TBILISI STATE

OPERA AND BALLET  
PROFESSIONAL THEATRE



31 იანვარი / JANUARY, 2015  
20:00

მონაწილეობენ:

მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები,  
თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის  
საბალეტო დასი და ორკესტრი

CAST:

WORLD BALLET STARS,  
TBILISI OPERA AND BALLET THEATRE  
BALLET COMPANY AND ORCHESTRA

# ვერა ტსიგნაძე 90

დირიჟორი  
დავით მუქერია

CONDUCTOR  
DAVID MUKERIA

საბალეტო დასის ხელმძღვანელი  
ნინო ანანიაშვილი

BALLET COMPANY DIRECTOR  
NINA ANANIASHVILI

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი  
დავით კინცურაშვილი

ARTISTICT DIRECTOR  
DAVID KINTSURASHVILI

გ ა ლ ა - კ ო ნ ც ე რ ო ი  
G A L A C O N C E R T



# Arabesque

No1(24) 2015

Ballet Magazine

„არაბესკი“ მუსიკალური ბალეტის ჟურნალი



ზაპარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის საბალეტო დანის ჟურნალი

MAGAZINE ABOUT THE BALLET COMPANY OF THE TBILISI Z. PALIASHVILI OPERA AND BALLET PROFESSIONAL STATE THEATRE

გამოდის წელიწადში ორჯერ

Issued twice a year

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და ვიზუალური კონსერვატორი

Artistic Manager of the Theatre  
DAVID KINTSURASHVILI

საბალეტო დანის ხელმძღვანელი ნინო ანანიასვილი

Artistic Director of the Ballet Company  
NINA ANANIASHVILI

მთავარი რედაქტორი ილია თავბერიძე

Editor-in-Chief  
ILIA TAVBERIDZE

ინგლისური ტექსტების რედაქტორი თორნიკე ხომერიკი

Editor of the English language content  
TORNIKE KHOMERIKI

დიზაინი ბესიკ დანელია

Design by  
BESIK DANELIA

ფოტოგრაფი ლადო ვაჩნაძე

Photographer  
LADO VACHNADZE

გარეკანის პირველი გვერდი: ვერა წიგნაძე და ვახტანგ ჭაბუკიანი. „სუიზელი“.  
გარეკანის მეოთხე გვერდი: ვერა წიგნაძე „ლაურენცისას“ პრემიერის დღეს მისი სახელის ვარსკვლავის გამოცხადების ცერემონიაზე თბილისის ოპერის თეატრში.  
18 აპრილი, 2007 წ.

First cover page: Vera Tsignadze, Vakhtang Chabukiani in Giselle.

Fourth cover page: Vera Tsignadze on a Laurencia premiere day during a ceremony of announcing the star named after her. Tbilisi Opera and Ballet Theatre, April 18, 2007

ნომერში გამოყენებულია ლადო ვაჩნაძის, თინა თუთისანის, მინსკის ოპერისა და ბალეტის თეატრის, გაზეთ „Prime Time“-ის, თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მუზეუმის ფოტოები

This magazine issue features photographs by Lado Vachnadze, Tina Tutisani, the Minsk Opera and Ballet Theatre, the Prime Time newspaper, the State Museum of Theatre, Cinema, Music and Choreography, and the Tbilisi Opera and Ballet Theatre Museum.

დაბეჭდა შპს „ფავორიტი სტილი“  
Printed by "Phfavorite Style" Ltd

თბილისი 0108, რუსთაველის გამზირი 25  
25, RUSTAVELI AVE. 0108, TBILISI, GEORGIA  
თელ./TEL: +995 32 235 75 03  
თირაზი: 300

UDC (უპკ) 792.8  
A-70

ISSN 1512-3294


www.opera.ge

ვერა წიგნაძეს 90 წელი გასული წლის სექტემბერში შეუსრულდა. საბალეტო დანის წარმომადგენლები სახლში ესტუმრნენ ქართული ბალეტის ლეგენდას და იუბილე მიულოცეს. ჟურნალის ეს ნომერიც მაშინ უნდა გამოსულიყო, მაგრამ იუბილის გამართვა იანვრისთვის გადაიდო. ასეა, ძნელია დაგეგმო რაიმე, როცა საკუთარი თეატრის შენობაში დროებით არ მუშაობ. არადა, გვპირდებიან რომ 2015 წელს თეატრის რესტავრირებულ შენობაში, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ სცენაზე დავბრუნდებით და მისი გახსნის საზეიმო ცერემონიალიც შედგება. ასე, რომ 2015 წელი ჩვენი თეატრის წელი იქნება, თეატრისა, რომელიც 163-ედ უღებს კარს მის ერთგულ მაყურებელს. ძველი თაობის ბალეტომანებს კარგად ახსოვთ ვერა წიგნაძის, ვახტანგ ჭაბუკიანის უცვლელი პარტნიორის და მის ბალეტებში ქალის მთავარი პარტიის პირველი ინტერპრეტატორის, გამოსვლები ამ უძველესი თეატრის სცენაზე.

სიმბოლურია, რომ თეატრის გახსნის წელი ვერა წიგნაძის საიუბილეო გალა-კონცერტით იხსნება. ამ წელს ქართული ბალეტის ისტორიისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბალეტის – ვახტანგ ჭაბუკიანის „გორდას“ პრემიერა იგეგმება. პირველი სცენური რეპეტიცია უკვე გაიმართა. ამ მოვლენების შესახებ იმედი, „არაბესკის“ შემდეგ ნომერებში მოგიტხრობთ.

VERA TSIGNADZE CELEBRATED HER 90<sup>TH</sup> ANNIVERSARY in September last year when company members visited the legend of the Georgian ballet to congratulate her with the date. This magazine issue was initially planned to publish at the time of the anniversary, although celebrations were later postponed for January – hard to plan anything when you are temporarily left without your own theatre building. We are promised a return to the renovated building in 2015 for a grand opening celebration of the new stage equipped with modern technology, so this New Year should become the one of our theatre, with the loyal audience invited for its 163rd season. Senior ballet-goers should remember very well the performances of Vera Tsignadze – Vakhtang Chabukiani's permanent partner – on the stage of this historical theatre.

It is symbolic that the year in which the renovated building should be ready is in turn opened with an anniversary gala concert for Tsignadze. Another significant event of 2015 for the history of the Georgian ballet is the planned premiere of Chabukiani's *Gorda*. The maiden stage rehearsal of the piece has already taken place, and we will hopefully be telling you about the developments in the next *Arabesque* issue.



ვერა წიგნაძე - 90 · VERA TSIGNADZE - 90

წინათ ანანიავაძე · NINA ANANIASHVILI

05

ვერა წიგნაძე  
Vera Tsignadze

ინტერვიუ · INTERVIEW

07

ვერა წიგნაძე: „დამამატირებელია, თავს ვახსენებდე ვინმეს...“  
Vera Tsignadze: “It would be humiliating to be reminding people of myself”

13

ლელო ზიჭინაძე · LELO TCHITCHINADZE

ბალეტის პოეზია  
Poetry of Ballet

16

მაკა მახარაძე · MAKA MAKHARADZE

ჩემი ვერუშკა  
My Verushka

18

მაია ზურაშვილი · MAIA ZURASHVILI

ჩემი მასწავლებელი  
My Teacher

20

Ballet News

ბალანჩინი - 110 · BALANCHINE - 110

22

ბალანჩინის იუბილე  
A Balanchine anniversary

ინტერვიუ · INTERVIEW

23

ბარტ კუკი: „ბალანჩინი ჩემთვის ცხოვრების მასწავლებელი იყო“  
Bart Cook: “Balanchine was my teacher on life”

26

ბალანჩინი: მუდმივად აწმყოში  
პაულ კოლნიკის ფოტოგრაფიის გახსნა  
ხელოვნების სასახლეში  
Balanchine: The Eternal Present  
OPENING OF A PAUL KOLNIK EXHIBITION AT THE PALACE OF ARTS





რევენია · REVIEW

ელისაბეთ კენადლი · ELIZABETH KENADALL

28 ამბები საქართველოში გამართული საბალეტო გალადან  
Dispatch from The Georgian Ballet Gala

პრემიერა · PREMIERE

32 Concerto Barocco

36 Ballet News

პრემიერის წინ · AHEAD OF PREMIERE

38 „გორდას“ პირველი სცენური რეპეტიცია  
The Maiden Stage Rehearsal for Gorda

39 დასი  
The Company

მემკვიდრეობა · LEGACY

40 „ლაურენსია“ მინსკში  
Laurencia in Minsk



იუბილე · ANNIVERSARY

ნიალა გოძიაშვილი · NIALA GODZIASHVILI

44 ზურაბ კიკალეიშვილი  
Zurab Kikaleishvili

სახელები · NAMES

მარიკა შალიკაშვილი · MARIKA SHALIKASHVILI

46 ბალეტის ლეგენდა თბილისში  
Ballet Legend in Tbilisi

48 ბალეტის მეგობართ საზოგადოება  
Friends of The Georgian Ballet





# ვერა წიგნაძე 90

ცნობილ ქართველ ბალერინას,  
ვახტანგ ჭაბუკიანის უცვლელ პარტნიორს  
2014 წლის 24 სექტემბერს დაბადებიდან  
90 წელი შეუსრულდა. თბილისის ზაქარია  
ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის  
თეატრი, სადაც განუმეორებელმა ბალერინამ და  
პედაგოგმა მთელი ცხოვრება გაატარა, ულოცავს  
ამ იუბილეს და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს!

THE FAMOUS GEORGIAN BALLERINA

## Vera Tsignadze

celebrated her 90<sup>th</sup> birthday on September 24. 2014  
Tbilisi Zakaria Paliashvili Opera and Ballet Theatre  
– the venue where the incomparable ballerina and  
teacher spent her entire career – would like to  
congratulate her with the anniversary and wish her  
good health.

რთულია სცენაზე გამოსვლა, როდესაც ამავე სცენაზე ვახტანგ ჭაბუკიანი ბრწყინავს... თუმცა არა ვერა წიგნაძისთვის. ამ ულამაზესმა ქალბატონმა და ბალერინამ შეძლო არა მხოლოდ შესანიშნავი პარტნიორობა გაეწია ჭაბუკიანისთვის, არამედ თვითონ გამბდა-რიყო შეუდარებელი ვარსკვლავი.

პირველი საბალეტო სპექტაკლი, რომელიც ვიხილე „ჟიზელი“ იყო სწორედ ვერა წიგნაძის შესრულებით. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ეს მისი ბოლო წარმოდგენა ყოფილა. იმდენად ბუნებრივად იცეკვა და ითამაშა ქალბატონმა ვერამ, რომ მე და ჩემი მეგობრები ორი მოქმედების განმავლობაში ცრემლებს ვერ ვიკავდებდით. მეტიც, დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ სპექტაკლმა ჩემი მომავალი გადაწყვიტა.

საბედნიეროდ, შემოგვჩნა ვერა წიგნაძის ცეკვის უნიკალური ჩანაწერები. ხშირად ვუყურებ ამ კადრებს. დღესაც თანამედროვედ გამოიყურება მისი თითოეული მოძრაობა, დინამიკა, მსუბუქი ნახტომი.

2014 წელს მინსკის დიდ თეატრში ვახტანგ ჭაბუკიანის „ლაურენსია“ აღვადგინე. დადგ-მაზე მუშაობის დროს უდიდესი დახმარება გამიწია ბალეტის მიხედვით გადაღებულმა კინოფილმმა „ქართული ბალეტის ოსტატები“, სადაც ვახტანგ ჭაბუკიანის გვერდით ბრწყინავს უკვდავი ლაურენსია - ვერა წიგნაძე.

2007 წელს, როცა თბილისში „ლაურენსია“ აღვადგინეთ, პრემიერის წინ საზოგადო-ებას ვამცნეთ, რომ ჩვენი წარდგინებით „გედის თანავარსკვლავედში“ ორ უსახელო ვარსკვლავს ვახტანგ ჭაბუკიანის და ვერა წიგნაძის სახელები მიენიჭა და საერთაშო-რისო ასტრონომიულ კატალოგში „კოსმო-სი-დედამიწა“ შევიდა. თუ ვინმე იმსახურებს თავის ვარსკვლავს, ეს ქალბატონი ვერაა.

ქალბატონ ვერას, ქართული ბალეტის ცოც-ხალ ლეგენდას, ვუსურვებთ კიდევ მრავა-ლი წლის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

**ნინო ანანიაშვილი**  
საბალეტო დასის ხელმძღვანელი

It is never easy to take to the stage where Vakhtang Chabukiani is shining. But not for Vera Tsignadze, the beautiful lady and ballerina who managed not only to partner him but become an incomparable star of her own.

A *Giselle* performance featuring Vera Tsignadze was the first ballet show I went to, and only later did I learn it had been her final appearance. Her dance and character play was so natural that my friends I and could not hold back tears throughout the two acts. I would go as far as to say that evening decided my future.

Fortunately some of the unique footage of Vera Tsignadze’s dancing has been preserved. I often watch these recordings where even today her every movement, dynamics and light-ness of jumps appear contemporary.

I worked at the Minsk Bolshoi Theatre in Belarus in 2014 to reconstruct *Laurencia* by Chabuki-ani. This work was greatly aided by the documentary film *Masters of the Georgian Ballet*, based on the ballet and featuring Chabukiani and the eternal *Laurencia* of the brilliant Vera Tsignadze.

Restoring *Laurencia* in Tbilisi in 2007, we announced to the public just prior to the premiere that our presentation of Vakhtang Chabukiani and Vera Tsignadze’s names for two previous-ly unnamed stars in the Cygnus Constellation of the *Space-Earth* International Catalogue of Stars had been accepted. If there is anybody deserving their own star it is Vera Tsignadze.

We would like to wish many more years of good health to Ms Tsignadze, a living legend of the Georgian ballet.

**NINA ANANIASHVILI, Ballet Company Director**



ვასილ ახმეტელი, ვერა წიგნაძე, ნინო ანანიაშვილი „ბედების ტაის“ შემდეგ. 19 აპრილი, 2007 წ.

VASIL AKHMETELI, VERA TSIGNADZE, NINA ANANIASHVILI FOLLOWING A *SWAN LAKE* PERFORMANCE. APRIL 19, 2007



ვერა წიგნაძე:

დამამაცირებელია,  
თავს ვახსენებდე  
ვინმეს...

VERA TSIGNADZE:

It would be  
humiliating to be  
reminding people  
of myself

სატელევიზიო ინტერვიუ  
პროგრამა „მთავარ როლში“  
ავტორი: გიორგი ჩართოლანი  
| არხის შემოქმედებითი გაერთიანება  
„ხელოვნება“, 1998

Television interview for  
the Principal Role program  
Author **GIORGI CHARTOLANI**  
Channel 1 Creative Union “Art”, 1998

ვერა წიგნაძეს ინტერვიუების მიცემა არ უყვარს, იშვიათად თუ სადმე წააწყდებით მისი საუბრის ჩანაწერს ან გაზეთისთვის მიცემულ მოკლე კომენტარს. ამიტომ განსაკუთრებით ფასეულია საუბარი, რომელიც მასთან ჟურნალისტმა გიორგი ჩართოლანმა ჩაწერა საავტორო პროგრამისათვის „მთავარ როლში“. გადაცემა პირველი არხის ეთერში 1998 წელს გადაიცა. ინტერვიუში ვერა წიგნაძე განვლილი შემოქმედებით ცხოვრების შესახებ საუბრობს.

Vera Tsignadze is not very fond of interviews. Her talks or short comments for newspapers are rare to find, therefore the interview with journalist Giorgi Chartolani is especially valuable. In this talk – recorded for the Principal Role program and aired on the Public Broadcasting Channel in 1998 – Tsignadze discusses her dancing career.



20 წელია რაც თქვენ დატოვეთ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დიდი სცენა. ვინც ერთხელ მანც გიხილათ ამ სცენაზე არასდროს დაავიწყდება თქვენი ცეკვა, რადგან ამის დავიწყება, როგორც ამბობენ, უბრალოდ შეუძლებელი იყო. ახალგაზრდა თაობამ კი თქვენ შესახებ მხოლოდ გადმოცემით იცის. მოდით, ამ ახალგაზრდა თაობისთვის ჩვენი საუბარი თქვენი ბიოგრაფიით დავიწყოთ.



ბაქოში დავიბადე. ჩემი მშობლები უცნაურად შეხვდნენ ერთმანეთს. მამა ქუთაისში დაიბადა, იქ გაატარა ბავშვობა და სიტყუკის წლები. შემდეგ, რაღაც გარემოებების გამო, განჯაში აღმოჩნდა, იქედან კი ბაქოში გადავიდა. დედა რუსეთის შუაგულში დაიბადა, მშობლები ადრე გარდაცვალა და ნათლიამ, რომელიც ბაქოში გადავიდა საცხოვრებლად, თან წაიყვანა. იქ საავადმყოფოში მუშაობდა. მამას პირველი ცოლი ავად გახდა და იმ საავადმყოფოში იწვა, სადაც დედა მუშაობდა. იქ გაიცნეს ერთმანეთი. შემდეგ მამაჩემის მეუღლე გარდაიცვალა და ცოტა ხანში დედაჩემზე იქორწინა. ბავშვობაში, კარგად მახსოვს, მამამ უფროს ძმასთან და ნახევარძმასთან ერთად ქუთაისში ჩამიყვანა. პირველმა ჩამოსვლამ საქართველოში ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ მომეჩვენა თითქოს სამოთხეში მოვხვდი. სულ სხვანაირი ცა, შეუდარებელი ბუნება, მდინარე რიონი... საქართველო მას შემდეგ ყოველთვის იყო ჩემ გულში. მერე ბაქოს ქორეოგრაფიულ სასწავლებელში შემიყვანეს, ცეკვა ყოველთვის მომწონდა და მინდოდა. მამაჩემი კარგად მღეროდა და მუსიკის სიყვარულიც ბავშვობიდანვე მომყვებოდა.

**ის თანახმა იყო ქორეოგრაფიულ სასწავლებელში შესულიყავით?**

დედა იყო წინააღმდეგი, რადგან ხშირად ვხვდებოდი ავად. სწავლა რომ დავიწყე უკეთ გავხდი. მამა თანახმა იყო, გოგონას თუ სურს, უნდა მივიყვანოთ ცეკვაზე – ამბობდა. კარგად მახსოვს გამოცდები, ყველა მოიხიბლა ჩემი მონაცემებით – ნაბიჯი („შაგს“ რომ ვეძახით ბალეტში), ნახტომი, ბრუნები...

**რა იცეკვებთ გამოსაშვებ გამოცდაზე გახსოვთ?**

გამზათის პა დე დე „ბაიადერადან“.

**თბილისში როგორ აღმოჩნდით?**

სასწავლებელი ომის დროს დავამთავრე და ორი წელი ბაქოს ოპერის თეატრში ვიმუშავე. დასში ცეკვავდა სამველოვი, ცნობილი მსახიობი, რომელმაც როგორც კი დამი-

Twenty years have passed since you left the Tbilisi Opera and Ballet Theatre stage. For those who saw you dance the memory will live forever, as it was unforgettable, like many have said. But the younger generation has only heard about you from stories. Let us begin this conversation by talking about your biography.

I was born in Baku, Azerbaijan. My parents met each other due to unusual circumstances. My father was born in Kutaisi where he spent his childhood and youth years. Due to some events he then found himself in Ganja and later moved to Baku. My mother was born in the middle of Russia. Her parents died when she was young and her relative who moved to Baku took her as well. She worked at a local hospital where my father's first wife was treated for illness, and that is where my dad and she met each other. After my father's spouse died he soon married my mother. I remember dad taking me, my older brother and half-brother to Kutaisi. I was so impressed with this first travel to Georgia I thought I was in heaven. Sky was different, nature was incomparable and there was the Rioni river... Georgia had a place in my heart ever since. I then joined the choreographic school in Baku. I always loved dancing and wanted to do it. My father was a good singer and love for music had been with my since my childhood.

**Did he agree to you joining the school?**

It was my mother who was against it, as I used to easily get sick. But I got better when I began my classes. My father said they should let me join if I wanted to. And I remember everybody was charmed with my abilities – steps, jumps, and turns.

**Do you remember what piece you danced at the acceptance test?**

It was the Gamzatti pas de deux from *La Bayadère*.

**How did you end up in Tbilisi?**

I graduated from the school during the War and worked at the Baku Opera Theatre for two years. The well-known actor Samvelov who was at the company told me the very first time he saw me: “Vera, I have an idea for staging a piece, and we could dance it to make some money.” Everybody was having it rough and in need of some income at that time. I was happy with the proposal. He staged a tango, with a long dress for me that had a cut near legs and was open on arms. It was a very effective piece, with lots of time spent away from the floor and in partner's arms while doing beautiful movements. We danced a lot together.

ნახა, მითხრა — იცი რა, ვერა, მე დავდგამ ნომერს, ერთად ვიცეკვოთ და ცოტა ფულს გავაკეთებთ. იმ დროს ყველას უჭირდა და სჭირდებოდა შემოსავალი. გამიხარდა ეს შემოთავაზება. სამველოვმა დადგა ტანგო. გრძელი კოსტიუმი მეცვა, ფეხებთან გახსნილი, მკლავებზე მოხდილი... მოკლედ, ძალიან ეფექტური ნომერი იყო, იატაკს მოცილებული, პარტნიორის მიერ ხელში აყვანილი ბევრი ლამაზი მოძრაობით. ერთად ბევრი ვიცეკვეთ. შემდეგ სამველოვს თეატრის დირექციასთან უსიამოვნებები შეემთხვა და იძულებული გახდა წასულიყო და სამუშაოდ თბილისში ჩამოვიდა. ვახტანგ ჭაბუკიანი ამ დროს „სინათლეზე“ მუშაობდა, რომლისთვისაც სამი სოლისტი ქალის პარტია მოიფიქრა. მესამე სოლისტი არ ჰყავდა და აქტიურად ეძებდა ბალერინას. ვახტანგს სამველოვისთვის უკითხავს — შემთხვევით, ბაქოში ხომ არ გყავთ კარგი მოცეკვავე? მან უპასუხა — გყავს და თანაც ქართველი! ეს ჭაბუკიანს კარგად დამახსოვრებია. პეტერბურგში მაშინ ბაქოს გავლით დადიოდნენ. ერთხელაც, როცა ჭაბუკიანი დასთან — თამართან ერთად ლენინგრადში მიდიოდა, ბაქოში დეპუტა გამოგზავნა, რომ რკინიგზის სადგურზე შეეხვედროდი. დეპუტა ჩემამდე არ მოსულა, თეატრში დამიმალეს. დღემდე არ ვიცი რისი ეშინოდათ. როცა „სინათლის“ დადგმა დასასრულისკენ მიდიოდა და გარდაუვალი აუცილებლობა იყო მისთვის ბალერინა ერთ-ერთ მთავარ პარტიაში, ჭაბუკიანმა კიდევ ერთი დეპუტა გამოიგზავნა ბაქოში. ძალიან კარგად მახსოვს ეს დღე. ბაქოს ოპერაში „ფაუსტი“ მიდიოდა, რომელსაც ძალიან კარგი მომღერლები ასრულებდნენ. მე „ვალპურგის ლამეში“ ვიყავი და კავებული და პირველ მოქმედებას ლოჟიდან ვუსმენდი. ამ დროს ჩემთან ადმინისტრატორი მოვიდა და დეპუტა გადმომცა: „Предлагаю гастрольные спектакли „Дон Кихот“, „Лебединое Озеро“, „Бахчисарайский Фонтан“. Чабукиани“ ვერ აგიღწერთ რა დამემართა. ჩემი რეაქცია რომ დაინახა, ადმინისტრატორს შეეშინდა და მითხრა, რომ დირექტორი საქმის კურსში ჩაგვეყენებინა. მე არ მივეცი დეპუტა. პარტნიორები, კოლეგები კი შემომეხვივნენ და თბილისში სასწრაფოდ გამგზავრება მირჩიეს. თავდაპირველად მეშინოდა ჭაბუკიანთან მოუმბადებლად ჩასვლა და ამიტომ მივწერე, რომ ეს სპექტაკლები ჩემს რეპერტუარში არ არის, შემძლია ვიცეკვო მხოლოდ „რაიმონდა“. შემდეგ კომპოზიტორმა გრიგოლ კილაძემ („სინათლის“ ავტორი) ბაქოს კონსერვატორიის რექტორის საშუალებით მომძებნა და გადმომცა, რომ მხოლოდ გასინჯვამ ჩავსულიყავი თბილისში. აი, მაშინ გავიცანი პირველად.

როცა პირველად მივედი თეატრში, გრძელი ხიტონი ჩავიცვი, ვარდისფერი, რომლითაც


**დაბადების დღის მილოცვა**  
24.09. 2014

ლეგენდარულ ქართველ ბალერინას ვერა წიგნაძეს დაბადების დღე და 90 წლის იუბილე მიულოცეს. საბალეტო დასის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი ლილიანა მითაიშვილი და დასის წარმომადგენლები ვერა წიგნაძეს სახლში ეწვივნენ და საბალეტო დასის სახელით საუკეთესო სურვილები გადასცეს.



**BIRTHDAY VISIT**  
24.09.2014

The company director Nina Ananiashvili, People's Artist of Georgia Liliانا Mitaishvili and company members visited the legendary Georgian ballerina Vera Tsignadze to congratulate her with the 90th birthday and leave their best wishes in the name of the company.



საკონცერტო ნომერს ვცეკვავდი. კლასზე როცა შევედი, ეგონათ ცუდი ფეხები მქონდა და ვმალავდი. ჭაბუკიანმა მთხოვა ხიტონი მაღლა ამეწია და როცა ფეხები გამომიჩნდა ყველანი დაწყნარდნენ.

**ბედისწერა იყო თქვენი თბილისში ჩამოსვლა, ჭაბუკიანთან. ასე რომ არ მომხდარიყო,საინტერესოა, როგორ წარიმართებოდა თქვენი შემოქმედებითი გზა? ხომ არ აღმოჩნდებოდით დიდ თეატრში, კიროვის თეატრში, სადაც მოხვედრამეც ოცნებობს თითოეული ბალერინა? თბილისში ჩამოსვლა თქვენთვის დიდი სცენისკენ მიმავალ გზაზე დაბრკოლებად ხომ არ იქცა?**

სიმართლე რომ გითხრათ, ასეთი ფიქრი, ოცნებაც კი არ მქონია. შინაგანად ვფიქრობდი, რომ თბილისში, საქართველოში უნდა ვყოფილიყავი. სულ მინდოდა აქ საგასტროლოდ ჩამოვსულიყავი, ბოლოს კი თავად ჭაბუკიანთან აღმოვჩნდი, მასთან ვცეკვავდი. ეს იმდენად დიდი ბედნიერება იყო, კიდევ რაზე უნდა მეფიქრა.

**თქვენ დიდი აღფრთოვანებით საუბრობთ ჭაბუკიანზე, როგორც უდიდეს ხელოვანზე და ეს გასაგებიცაა. მაგრამ საბალეტო ხელოვნება არის ერთადერთი ხელოვნების დარგებს შორის, სადაც წამყვანი არის ქალი, რომელსაც ბალეტი აძლევს საშუალებას აჩვენოს მთელი თავისი სილამაზე, სინამე, მომხიბვლელობა და ამ დროს დგახარ უდიდესი მოცეკვავის გვერდით. არ გეშინოდათ მის ჩრდილქვეშ დაკარგულიყავით, ცოტათი უფერული გამოჩენილიყავით სცენაზე? რას გრძნობდით სცენაზე ან თუნდაც მაყურებელთა ოვაციის დროს ?**

ვყოფილიყავი მის გვერდით ეს ჩემთვის ისეთი განუზომელი და დიდი ბედნიერება იყო, არაფერზე არ ვფიქრობდი, არაფერს სხვას არ განვიცდიდი იმ ბედნიერ წუთებში.

**ჭაბუკიანთან ერთად თქვენ ქართული ბალეტის ფუძემდებელი ხართ, მის სათავეებთან იდევით. თითქმის ყველა ქართულ ბალეტში პირველი შემსრულებელი იყავით. ამ დადგმებს თავის დროზე დიდი წარმატება ჰქონდათ. როგორ ფიქრობთ, ეს წარმატება ეპოქით იყო განსაზღვრული, მისი დამდგმელის დიდი ავტორიტეტით თუ თავისთავად ძალიან საინტერესო ბალეტები იყო? დღეს ექნებოდათ ამ ბალეტებს მსგავსი აღიარება?**

რთული სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ჭაბუკიანი ყოველთვის შინაგანად გრძნობდა რა უნდა დაეგა და ამ დადგმებში საკუთარ თავს ასახიერებდა. ეს უდიდესი გრძნობა იყო.

Then he had some unpleasant encounters with the theatre administration and had to leave for Tbilisi where Vakhtang Chabukiani was working on *The Light*. He needed a soloist ballerina to complete the cast of three. He asked Samvelov: “Do they have some good dancers over there in Baku?” and my former partner told him: “They do, and she is even Georgian!” Chabukiani remembered this. Back then people went through Baku on their way to St Petersburg. During one of such trips with her sister Tamar, Chabukiani sent me a note asking to meet him at the railway station. I never saw the note, and still do not know what the theatre was afraid of when hiding it. When the work on *The Light* neared its end and the issue of finding the third soloist became critical Chabukiani sent me another note. I remember that day very well. I was watching a performance of *Faust* that featured a number of great singers in cast. I was to perform in *The Night of the Walpurgis* the same evening. An administrator approached me and handed the note that said “I would like to offer you a tour performance featuring *Don Quixote*, *Swan Lake* and *The Fountain of Bakhchisarai*. Chabukiani” I cannot find words for what I felt in that moment. The administrator felt scared when he saw my reaction and asked for the note to also show it to the director, but I refused to hand it to him. My partners and colleagues gathered around and told me not to miss the opportunity of going to Tbilisi. At first I was afraid to go unprepared to I wrote to Chabukiani saying I did not have the ballets he mentioned in my repertory and could only dance *Raymonda*. Then composer Grigol Kiladze (author of the score for *The Light*) found me via the rector of the Baku Conservatory and told me I could travel to Tbilisi to just do an audition. That is when I first met Chabukiani.

I was dressed in a long pink dress I had for concert pieces. Upon entering the class they thought I was hiding my legs so I was asked by Chabukiani to pull the dress up. They saw my legs and we went ahead.

**Your travel to Tbilisi seems to have been a thing of the fate. It is curious to think how your career would have gone if not for it. Do you think you could have reached the Bolshoi or the Kirov theatre stage, subjects of dreams of every ballerina? Did your turn to Tbilisi become a barrier on a possible way to bigger stages?**

To be honest I did not have such thoughts or dreams. I felt like I had to be in Tbilisi, in Georgia. I had always wanted to perform here on tour, and in the end I found myself dancing with Chabukiani. I was so happy that I could not think of anything else.

თქვენმა შემოქმედებითმა ცხოვრებამ საბჭოთა რეჟიმის დროს ჩაიარა და ამ სისტემის ნგრევასაც მოესწარი. ბევრი გამოჩენილი ადამიანი წერს, რომ თავს კარგად ვერ გრძობდა კომუნისტების დროს. შეზღუდული იყო მათი პიროვნული და შემოქმედებითი თავისუფლება. თქვენ გრძობდით ამას საკუთარ თავზე?

ალბათ ეს უფრო საგრძნობი იქნებოდა ჩვენს გვერდით რომ არ ყოფილიყო ვახტანგ ჭაბუკიანი. ჩვენ ყოველთვის მასზე ვიყავით დამოკიდებული და ვერ ვგრძობდით ამ სირთულეებს. ვახტანგს კი იმხელა ავტორიტეტი ჰქონდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებასაც კი არ შეეძლო მასთან რაიმეს გამხდარიყო. მან გაუბედურებული ქეთო ნადარეიშვილი დააბრუნა თეატრში, რომელიც იმის გამო დააპატიმრეს, რომ ბრიტანელი ქმარი ყავდა. ვახტანგმა კი გაბედა ციმიბირიდან დაბრუნების შემდეგ სამსახურში აღედგინა იგი. ვის შეეძლო იმ დროში ამის მოხერხება? აი, ვახტანგს შეეძლო. ერთადერთი რაც შემიძლია ვთქვა, როცა გასტროლოზე მივდიოდით უცხოეთში – არგენტინაში, შვეიცარიაში, სხვაგანც მე და ზურაბ კიკალაიშვილს გვთავაზობდნენ დაბრუნებას, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო ამის გაკეთება. პირველ რიგში ჩვენი ოჯახის, მშობლების გამო, ასევე ამას ვერ გავაკეთებდით ჭაბუკიანის პატივისცემის გამო. თუმცა დედამ კი მითხრა ერთხელ რომ ჩემთვის უცხოეთში დარჩენა უკეთესი იქნებოდა.

### მართლა ასე იქნებოდა?

ალბათ კი. ვახტანგი უკვე აღარ ცეკვავდა და აღარც დგამდა.

**დრომ უცებ გაიზარდა. უცებ იცვლება ყველაფერი – ადამიანები, ურთიერთობები, ცხოვრების წესი. უცვლელი რჩება კლასიკა. მაგრამ აქაც შედის პატარა კორექტივები. თქვენ როგორ ფიქრობთ, კლასიკური ხელოვნება ახლაც ისე ახდენს გავლენას მაყურებელზე, როგორც 20-30 წლის წინ, როცა თქვენ ცეკვავდით?**

კლასიკა მარადიულია!

### მაგრამ მაყურებელმა იკლო დარბაზში...

კი, გეთანხმებით, მაგრამ მაყურებელს გაზრდა უნდა. ახალგაზრდა მაყურებელი კი თეატრს დაშორდა. ჩვენ დროს მაყურებელი არც ერთ სპექტაკლს არ აცდენდა, მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა სად ექნებოდა ბილეთი – პარტერში, იარუსზე თუ ფეხზე იდგებოდა. მაინც მოდიოდა. დღეს, სამწუხაროდ, ასე აღარაა, დაიკარგა ეს კონტაქტი მაყურებელთან.

**You speak about Chabukiani as a great artist and it is completely understandable, but ballet is the only field of art where woman is the leading figure, enabled by the medium to show her beauty, grace and charm. And you had to do this beside this great dancer. Did you feel afraid to be overshadowed by him and pale on stage? What did you feel while performing or receiving applause from the audience?**

Being beside him was such immeasurable source of happiness for me that I did not think of anything else in those happy moments.

**Beside Chabukiani, you are seen as a founder of the Georgian ballet, having been there in its beginnings and performed the maiden principal roles. These productions had great success at that time. What do you think was the reason for this reception: was it about the era, the influence of the person staging them, or were they interesting pieces in themselves? Would they have similar recognition today?**

It is difficult to say, but what is for sure is that Chabukiani always felt what he needed to stage and he portrayed himself in the productions. It was an amazing feeling.

**Your career developed during the Soviet times, and you witnessed the disintegration of the system too. Many famous people said their personal and creative freedom was stifled during the regime. Did you feel that way?**

It would probably have been felt more if not for Vakhtang Chabukiani who was with us during the time. We only depended on him and did not feel those difficulties, while his influence guaranteed even the Soviet authorities could not do anything with it. He managed to bring the unfortunate Keto Nadareishvili – who had been arrested only for the reason of having a British spouse – back to the theatre upon her return from the Siberian camp. Who else could have done that at the time? Only Vakhtang could. I can say that myself and Zurab Kikaleishvili were offered many times to stay permanently abroad while on tour to countries like Argentina and Switzerland, but we could not have done this, firstly because of our families and parents but also out of respect for Chabukiani. Though my mother did once tell me I would have been better off staying abroad.

### What do you think?

I guess it would have. Vakhtang did not dance or stage at that time any more.

**Times have gone by and brought fast change to people, relations and lifestyle.**





**როდის იგრძენით პირველად, რომ სცენას დაემშვიდობებოდით? რა იყო პირველი ნიშანი ამაზე რომ დაგაფიქრათ? რთული იყო თქვენთვის ამის გადალახვა?**

დიდხანს ვიცეკვე. ეს იშვიათი შემთხვევაა. არიან ბალერინები, რომლებმაც ჩემზე დიდხანს დაჰყვეს სცენაზე, მაგრამ მე მთელ რეპერტუარს ვცეკვავდი ბოლომდე. მაგრამ, როცა ჭაბუკიანი თეატრიდან წავიდა, ისე დალაგდა რეპერტუარი, რომ ჩემი წასვლაც თანდათან მოხდა. მე რომ ვახტანგის დროს წავსულიყავი, ეს ჩემთვის ტრაგედია იქნებოდა. ვერც კი წარმომედგინა ასეთი რამ გამეკეთებინა, როცა ყველაფრის, მთელი რეპერტუარის ცეკვა შემეძლო. ვახტანგის წასვლის შემდეგ კი ყველაფერი თანდათანობით მოხდა. თან მოხდა ისე, რომ ეს ჩემთვის დიდი ტკივილი არ ყოფილა.

**რა უფრო კარგია თქვენი აზრით – დიდების მწვერვალზე მყოფმა დატოვო სცენა, დარჩე ლეგენდად თუ სცენაზე დიდხანს იცოცხო?**

ეს ადამიანზეა დამოკიდებული. მაია პლისეტსკაია „მომაკვდავ გედში“ ყველა ასაკში ლამაზი და მშვენიერი იყო, მე მისით მოხიბლული ვარ.

**თქვენ ბევრი გააკეთეთ ქართული ბალეტისთვის, ქართული კულტურისთვის. მაგრამ ძალიან მოკრძალებულად ცხოვრობთ, არ ჩანხართ იუბილეებზე, კონცერტებზე, სამთავრობო მიღებებზე... რატომ? კარგად არ გაქვთ გააზრებული თქვენი წვლილი ქართულ კულტურაში, თქვენ თავს არ აფასებთ? რატომ არ ითხოვთ სათანადო ყურადღებას? თქვენ არ ცხოვრობდით დიდებისთვის?**

ეს ჩემზე არაა დამოკიდებული. ეს მათზეა დამოკიდებული, ვინც ამით უნდა იყოს დაკავებული. ჩემთვის დამამაყრებელია თავს ვახსენებდე ვინმეს.

**შეგიძლიათ თქვათ, რომ მაქსიმალურად რეალიზებული ხართ, შემოქმედებითად ყველა ოცნება აგისდათ და ბედნიერი ადამიანი ბრძანდებით?**

ბევრი სიხარული და ბედნიერება განვიცადე ცხოვრებაში. არის რაც შეიძლება გავიხსენო – აღფრთოვანებული მაყურებლის ოვაცია, სიყვარული. ახლაც ქუჩაში რომ გავდივარ, მომბარუნებს ხოლმე გამვლელი, სახე გაუნათდება და აღმოხდება – „ვერა!“. იწყებს ყვირილს, საოცარ სიტყვებს მეუბნება. ეს ხომ აღიარებაა! ამისთვის ვიცხოვრე!

**Classics have remained largely the same, but still with some adjustments. Do you think classical arts can still influence the audience the way it could twenty or thirty years ago, when you were still on stage?**

Classics are eternal!

**But the theatres do not seem packed any more.**

I agree, but I think audience also needs to grow, while young people have moved away from theatre. In my time they never missed a performance no matter what seat they had tickets for – balcony, box or standing. Unfortunately it is not like that today. The contact with the audience has been lost.

**When did you feel you would soon retire from the stage? What was the first sign? And was it difficult to realize?**

I danced for a long time. There are ballerinas who have spent more years in total, but I danced the whole repertory to the end. But when Chabukiani left the theatre the repertory also changed so that my retirement was gradual. Had I left during his time it would have felt as tragedy, and I could not have imagined leaving while still able to dance all productions. But after he left it all happened in a way that did not feel particularly painful for me.

**Which do you think is better – leaving while on the prime of success and remain a legend, or remain on stage for a longer time?**

It depends on an individual. For instance, Maya Plisetskaya was beautiful and charming as The Dying Swan at all ages. I was impressed by her.

**You have done much for the Georgian ballet and culture, but you live a modest life. You are never seen on anniversaries, concerts and government receptions. Why? Do you think lightly of your share in the Georgian culture? Why do you not claim the well-deserved attention? Do you believe you did not live for fame?**

This is something not up to me but to the relevant people to do. It would be humiliating to be reminding people of myself.

**Could you say you have realized yourself to the most? That all of your artistic dreams have come true and you are a happy person?**

I have gone through many moments of joy and happiness during my life, and I have memories of the audience's ovation and love. Even now passersby happen to stop me in the street and call my name. They say some amazing things to me. This is recognition. And this is what I have lived for.

ზურაბ კიკალეიშვილი, ვახტანგ ჭაბუკიანი, ვერა ტიგნაძე  
 ZURAB KIKALEISHVILI, VAKHTANG CHABUKIANI, VERA TSGNADZE  
 ვერა ტიგნაძე ვახტანგ ჭაბუკიანის იუბილეზე  
 VERA TSGNADZE AT A VAKHTANG CHABUKIANI ANNIVERSARY CELEBRATION

# ბალეტის პოეზია Poetry of Ballet

ლელო ჭიჭინაძე  
*ხელოვნებათმცოდნე*

By Lelo Tchitchinadze  
*Art critic*

„ბალეტი – ჩემი ცხოვრებაა, ძალიან ვემადლიერები იღბალს, რომ ჩემი მოკრძალებული შრომის წყალობით, ადამიანებისთვის ბედნიერი წუთების ჩუქება შევძელი“ – ამბობს ვერა წიგნაძე ერთ ინტერვიუში. იგი ბავშვობიდან ცეკვავდა. ბაქოს ქორეოგრაფიული სკოლის დამთავრების შემდეგ, მოღვაწეობდა ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

“Ballet is my life, and I am happy to the fortune to have been able to use my modest work to give moments of happiness to people”, Vera Tsignadze says in one of her interviews. She started dancing during her childhood and after graduating from the Baku Choreographic School worked at the Akhundov Opera and Ballet Theatre.

ომის დროს ბაქოში გასტროლზე ჩავიდნენ ვახტანგ ჭაბუკიანი და მარინა სემიონოვა. ვერას პედაგოგმა წერილით მიმართა ჭაბუკიანს, რომ ნიჭიერ ქართველ გოგონას ყურადღების მიქცევა სჭირდებოდა. ჭაბუკიანს წერილი წაუკითხავს, მაგრამ ორი წლის მანძილზე პედაგოგის თხოვნას არ გამოხმაურებია.

ბაქოში მოცეკვავე სამველოვმა ვერას შესთავაზა შეესრულებინათ ტანგო, რის შედეგადაც მატერი-ალური მხარეც მოუგვარდებოდათ. მალე სამველოვს პრობლემები ექმნება ბაქოში, თბილისში ჩამოდის და ოპერისა და ბალეტის თეატრთან თანამშრომლობაზე მოლაპარაკებას იწყებს. სწორედ ამ დროს, ვ. ჭაბუკიანი დგამდა გ. კილაძის ბალეტს „სინათლე“, მას მოცეკვავეები არ ჰყოფნიდა და სამველოვს ჰკითხა თუ იყვნენ ნიჭიერი შემოქმედნი ბაქოში?! სამველოვმა უპასუხა – ასეთი ბალერინა ვერა წიგნაძეა და თან ქართველი! მაგრამ ჭაბუკიანი ვერას მაშინ ვერ დაუკავშირდა.

მათ შეხვედრას ყოველთვის „რაღაც“ უშლიდა ხელს. მოგვიანებით, ჭაბუკიანი იძულებული გახდა დაკავშირებოდა ბაქოს კონსერვატორიის დირექციას და დებუმა გაეგზავნა წიგნაძის სახელზე, სადაც სთავაზობდა სამ საგასტროლო სპექტაკლში მონაწილეობას. ვ. წიგნაძე საქართველოში ჩამოსვლაზე და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ცეკვაზე ოცნებობდა. ვერამ უპასუხა, რომ ეს სპექტაკლები მის რეპერტუარში არ იყო და შეეძლო ეცეკვა წამყვანი პარტია „რაიმონდაში“. ასე დაიწყო 1946 წელს ვერამ თბილისში მოღვაწეობა.

საქართველოს სახალხო არტისტი ვივი მეტრეველი ასე იგონებს ვერას პირველ გამოჩენას სარეპეტიციო დარბაზში: „როცა დიდი სარეპეტიციო დარბაზის კარი გაიღო და შემოვიდა ულამაზესი გოგონა, ვარდისფერ ხიტონში, ყველანი გოცებულნი დავრჩით. მთელი კლასი გამტერებული მივჩერებოდით ამ სილამაზეს. ისეთი მონაცემები ჰქონდა, ვიდრეც და მონუსხული ვუცქერდით, ფრინავდა ნახტომებით...“

დებიუტანტ მსახიობს თავიდანვე მთავარი პარტიების შესრულება შესთავაზეს. პირველი სპექტაკლი „დონ კიხოტი“ ბურაბ კიკაღლიევილთან ერთად შეასრულა. შემდეგ კი ვახტანგ ჭაბუკიანის მუდმივი პარტნიორი გახდა და ყველა წამყვან პარტიას ასრულებდა. მაღალი ჰაეროვანი ნახტომი, პოეტურობა, რომანტიული მღელვარება, მოძრაობის სიმსუბუქე, კარგი სცენური გარეგნობა განსაზღვრავდა მოცეკვავის ფართო სამემსრულებლო დიაპაზონს.

„ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, რომ მე მსოფლიოში უდიდესი მოცეკვავის პარტნიორი ვიყავი“ – ამბობს ვერა წიგნაძე. თავის შეუდარებელი ტექნიკით, ბრწყინვალე ფუტეტით და ჰაეროვანი პლასტიკით ჭაბუკიანისთვის იგი უფრო მეტი იყო ვიდრე პარტნიორი, ვახტანგთან ერთად კლასიკური რეპერტუარის ყველა წამყვან პარტიას ცეკვავდა. უიზელი კი მისთვის ერთ-ერთი გამორჩეული იყო: „უიზელი მიყვარს თავისი რომანტიკული განცდებით, უფრო მეტად მეორე მოქმედება. იგი რთულია და ყველას არ გამოსდის. ისე უნდა იცეკვო, თითქოს იატაკს არც ეხები. ასევე მიყვარს

დღემდე ჩელიტა და ლაურენსიას ფსიქოლოგიურ-დრამატული სახე. ორივე როლში ისეთი ნახტომი მქონდა, რომ პირდაპირ ვახტანგის მკლავებში ვხვდებოდი“ – ამბობს ვერა წიგნაძე ერთ ინტერვიუში.

ქართველი მაყურებლის მეხსიერებაში და ბალეტის ისტორიაში განსაკუთრებულად დასამახსოვრებელია 1957 წელი, როცა ჭაბუკიანმა ალექსი მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“ დადგა. ამ საოცარ სპექტაკლში ვერა წიგნაძე დებდემონას პარტიას ცეკვავდა. ერთ დღეს ოპერის თეატრში, გასინჯვამე მისულმა სოლიკო ვირსალაძემ ვერას თეთრი კოსტიუმი ჩააცვა, ყელზე წითელი ფერის ქსოვილი შემოახვია და თმა ჩამოუშალა... „სწორედ მაშინ ვიგრძენი დებდემონა და ეს სოლიკოს დამსახურება იყო!“ – იგონებს ვერა წიგნაძე. ვირსალაძის კოსტიუმმა განსაზღვრა დებდემონას პერსონაჟის ემოციური და სტილისტური ცეკვა. ვერა წიგნაძის და ვახტანგ ჭაბუკიანის დუეტს მთელი მსოფლიო ტაშს უკრავდა. მია პლისიეცკაიამ ასე შეაფასა მისი დებდემონა: „Её Дездемона – это одухотворенная поэзия“.

საერთაშორისო ასტრონომიულ კატალოგში „კოსმოსი-დედამიწა“ შეტანილია ვახტანგ ჭაბუკიანისა და ვერა წიგნაძის ვარსკვლავები. საზოგადოებამ „კოსმოსი-დედამიწა“ ეს გადაწყვეტილება თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის ნინო ანანიაშვილის წარდგინების საფუძველზე მიიღო. 2007 წლიდან გედის თანავარსკვლავედს საბალეტო სამყაროს ორი ქართველი გამოჩენილი მოღვაწის სახელობის ვარსკვლავი ამშვენებს.



ვერა წიგნაძე და მაია პლისეტსკაია  
VERA TSIGNADZE, MAYA PLISetskAYA



ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად სპექტაკლის შემდეგ  
WITH VAKHTANG CHABUKIANI AFTER A PERFORMANCE



Vakhtang Chabukiani and Marina Semyonova traveled to Baku on tour during the war, where Vera's teacher sent Chabukiani a letter about the talented Georgian girl. Chabukiani read the letter but did not respond to it for the next two years.

Dancer Samvelov – also performing in Baku – offered Vera to join him in performing the Tango – with ballet elements obviously – to solve their financial needs. Sometime after he encountered issues in Baku and traveled to Tbilisi to hold talks with the Opera and Ballet Theatre there. Chabukiani was in the process of staging *The Light* by Grigol Kiladze amid lack of dancers for the production. He asked Samvelov if he knew about suitable performers in Baku, and the dancer told him they had Tsignadze, a Georgian! But issues prevented Chabukiani from contacting Vera at that time.

After the war's end Chabukiani and his sister Tamar were traveling to Leningrad, with the route passing through Baku at the time. The maestro sent Vera a note asking her to meet them, but the message did not arrive. Their meeting always seemed to encounter problems. Later Chabukiani – with the help of the Baku Conservatory Administration – sent another letter to Tsignadze, offering her three tour performances of Minkus' *Don Quixote*, Asafiev's *The Fountain of Bakhchisarai* and Tchaikovsky's *Swan Lake*. Vera had dreamt about traveling to Georgia

to dance at the Tbilisi Theatre, but replied by writing the productions were not part of her repertory and adding she could dance the principal role in *Raymonda*. This is how her work in Tbilisi began in 1946.

People's Artist of Georgia Vivi Metreveli recalls Vera's first appearance at a rehearsal in Tbilisi: "The large rehearsal hall door opened and a gorgeous girl in pink chiton dress appeared. We were all in awe looking at this beauty. Her appearance and leaps left us amazed."

The debuting performer was offered principal roles from the very beginning. *Don Quixote* was her first show – with Zurab Kikaleishvili as her partner – followed by constant partnership with Chabukiani in principal roles. Her wide performing range was defined by high graceful jumps, poetic performance, romantic passion, lightness of movement and a pleasant stage appearance.

"It is a source of great happiness to have partnered the greatest dancer in the world", Tsignadze used to say. She was more than just a partner for Chabukiani with her incomparable technique, brilliant fouette and graceful plastique. She danced all principal classical roles with him, with *Giselle* one of the most distinctive for her. "I love *Giselle* with all the romantic anxiety, especially Act Two, which is difficult and not mastered by everyone. You must dance it

like you are not touching the stage. I also love my *Kitri* and the psychological drama character of *Laurencia*. My jump in both roles used to land me straight into Vakhtang's arms", she said in one of her interviews.

A special place in the Georgian audience's memory and ballet history is held by Aleksii Matchavariani's 1957 ballet *Othello*. Tsignadze danced *Desdemona* in this amazing production. The famous stage designer Soliko Virsaladze arrived at the Opera Theatre for measurements on one occasion. He dressed Vera in a white costume, draped a red piece around her neck and let her hair down. "It was in that exact moment that I felt *Desdemona*, and it was all to Soliko's credit!", she later said. Virsaladze's costume defined the character's emotional and styled dance, and Tsignadze's partnership with Chabukiani in the performance was applauded the world over. Maya Plisetskaya said when speaking about her role: "Her *Desdemona* is an inspired poetry."

An international catalogue of astronomy – titled *Space-Earth* – features stars for Vakhtang Chabukiani and Vera Tsignadze. The *Space-Earth* Society made the decision in 2007 following a nomination by Tbilisi Opera and Ballet Theatre Ballet Company Artistic Manager Nina Ananiashvili. So did the stars for the two famous Georgian ballet artists find their place in the constellation.



გურბა კიკალეიშვილი, ჯორჯ ბალანჩინი, ვახტანგ ჭაბუკიანი, ვერა ტიგნაძე. თბილისი 1972  
ZURAB KIKALEISHVILI, GEORGE BALANCHINE, VAKHTANG CHABUKIANI, VERA TSIGNADZE IN TBILISI, 1972



# ჩემი ვერუშკა My Verushka

მაკა მახარაძე

By Maka Makharadze

ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ბევრი, ძალიან კარგი პედაგოგი მყავდა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლიერება გამოვხატო მათ მიმართ. მაგრამ ჩემი, როგორც მოცეკვავის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშეს, რა თქმა უნდა ვახტანგ ტაბუკიანი და მისმა უცვლელმა და ღირსეულმა პარტნიორმა ვერა წიგნაძემ. განა არის ვინმე ჩვენს სფეროში და საერთოდ თეატრალურ სამყაროში, ვისაც არ აუფორიაქა სული და ვინც არ აღაფრთოვანა ვახტანგ ტაბუკიანი და ვერა წიგნაძემ? აღარაფერს ვამბობ იმ ათიათასობით მაყურებელზე, რომელთაც ბედნიერება ჰქონდათ, ეცქირათ ამ ორი ბუმბერაზის ვირტუოზული სასცენო ქმედებისთვის. ის, რომ მათი შემოქმედება უკვდავია, ამას არავინ უარყოფს და რომ ვახტანგ ტაბუკიანი და ვერა წიგნაძე მსოფლიო ბალეტის მარად მოკაშკაშე ვარსკვლავები არიან ესეც უდავოა!.. თუმცა, მე ახლა მხოლოდ ვერა წიგნაძეზე – ჩემს ვერუშკაზე მინდა ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ.

სწავლის დამთავრებამდე ორი წელი მქონდა დარჩენილი, როდესაც მამამ, რომელიც ჩემი წარმატებებით უკმაყოფილო იყო, გამომიცხადა, რომ ბალეტს უნდა დაემშვიდობო, რაც ჩემთვის სიკდილის ტოლფასი იყო და ოჯახს მტკვარში გადახტომით დავემუქრე. აღარ მახსოვს რატომ გადაიფიქრა მამამ, მაგრამ ფაქტია, რომ სასწავლებელში დამტოვეს. მაგრამ მთავარი ამ ისტორიაში ის არის, რომ ამ დროს ჩვენი კლასი სწორედ ამ მოკაშკაშე ვარსკვლავმა – ვერა წიგნაძემ აიყვანა. ღმერთო, რა ბედნიერება გვერგო წილად – ვერა, საოცარი ვერა, ჩვენი პედაგოგი გახდა! როდესაც ის პირველად „შემოფრინდა“ კლასში თავისი უღამაზესი გაშლილი, ქერა თმით, ლამაზად და მოხდენილად ჩაცმული (თუმცა როგორ შეიძლება მის საოცარ სხეულს რამე არ მოხდენოდა), სრული შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ კლასში ნამდვილი ფერია შემოფრინდა!

ძნელი წარმოსადგენია პედაგოგის ისეთი ალტაცებით შეყვარება, როგორც ჩვენ კლასს ვერა შეუყვარდა. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. ის ალტაცება არ განელებულა არასდროს და დღემდე ასეა!

მოგვხსენებთ რა მძიმეა ბალეტის მსახიობის პროფესიის დაუფლება, განსაკუთრებით, როცა გარდამავალ ასაკში ხარ და გინდა უკვე სცენაზე დაფარფატებდე და ყვავილების წვიმა თავზე გეყრებოდეს... მაგრამ ეს მხოლოდ ერთეულების ხვედრია და თანაც თავდაუზოგავი შრომის შედეგად. ჰოდა, ეს თავდაუზოგავი შრომა, ცოტა არ იყოს, ძნელია, თანაც სიზარმაცეც მახასიათებდა. ეს კი ვერასთვის სრულიად წარმოუდგენელი და მიუღებელი იყო. მიუხედავად ამისა, მან ჩემი სიზარმაცის მიღმა დანიხა რაღაც პატარა მარცვალი, რომელსაც მოეჭიდა და არ მომცა საშუალება ავყოლოდი ჩემს გრძნობებს. ასე და ამრიგად, ვერა ჩემი შემოქმედებითი დედა გახდა. იყო დიდი ბალერინა ერთია, მაგრამ ამასთანავე იყო დიდი პედაგოგი ეს კიდევ სულ სხვაა.

ჩემგან არ გამოვიდა კლასიკური ბალერინა, რაზეც რა თქმა უნდა ვოცნებობდი და გამოვიდა სახასიათო მოცეკვავე, რაზეც არასდროს მიოცნებია. იური ზარეცკი, ჩემი პედაგოგი სახასიათო ცეკვაში, მეტყოდა ხოლმე: „სახასიათო მოცეკვავე ხარ და ყოველთვის ამბობ ვერას მოსწავლე ვარო?!“ ასე ვამბობდი და ყოველთვის ასე ვიტყვი, რადგან ვერა ჩემთვის მხოლოდ პედაგოგი არ არის, ის ბევრად მეტია, რასაც სიტყვებით ვერც გამოვხატავ.

თეატრში მოღვაწეობის დროს ვერა ჩემი მთავარი არბიტრი იყო, თან მოსიყვარულე და ყოველთვის გვერდით მდგომი, უსაყვარლესი ადამიანი – ჩემი ვერუშკა.



I had many good teachers at the Choreographic School – and I would like to take this opportunity to thank all of them – however my development as a dancer was primarily influenced by Vakhtang Chabukiani and his permanent and deserving partner Vera Tsignadze. I do not believe there is anybody connected with theatre who has not been excited by Chabukiani and Tsignadze’s performance, and I have not even mentioned those who had the privilege to witness these huge figures of virtuoso dancing. Their artistic legacy’s eternal status as well as Chabukiani and Tsignadze forever remaining stars of the international ballet is undeniable, however I will be narrating here only about the latter – my Verushka.

I had a couple of years remaining before graduation when my father – not content with my success – told me I had to say farewell to ballet. This was a tragedy for me and I threatened my family with suicide by jumping into the Mtkvari River. I cannot recall why father changed his mind but I was allowed to remain in the school. But the main event in this story is that in this same period my class was taken under the tutorship by Vera Tsignadze, the shining star! I was ecstatic to think how privileged we were to have the amazing Vera as our teacher. When she entered the class for the first time with her blond hair undone, dressed elegantly – how could her amazing body have not looked beautiful in any dress anyway? – there was impression that a fairy herself had come to us!

It is difficult to think of love towards teacher like the one felt for Vera, but it could not have happened otherwise, and that same feeling is alive today.

It is well known how hard it is to master the profession of ballet artist, especially while in a young age when you are already imagining being on a stage under the shower of flowers. But this reality only comes to a chosen few – and even that with a lot of hard work, which is difficult, while I also suffered from a bit of laziness. But she saw a grain of something in me that she clung on to, and refused to allow me drift to my moods – and so she became my artistic mother. It is one thing to be a great ballerina, but to also become a great teacher is something else.

I did not end up a classical ballerina I dreamt of becoming, but I did become a character dancer – which had never been my dream. Yura Zaretsky, my character teacher, would tell me “You are a classical dancer – how can you say you are Vera’s student?” But I did still say so, and I will always say the same because Vera is not only a teacher for me. She is much more, something I cannot express merely in words.

She was my main judge at the theatre – a loving and supporting person, my Verushka.



# ჩემი პედაგოგი My Teacher

მაია ზურაშვილი  
საბალეტო დასის პედაგოგ-რეპეტიტორი

By Maia Zurashvili  
Ballet Company coach

საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომელთანაც ურთიერთობა გაძლიერებს, გაძღვეს იმ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ადამიანურ ღირსებებს, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე მიგყვება.

მე იმ იღბლიან ბალერინათა შორის ვარ, რომელსაც გაუმართლა და დღეს ვერა წიგნადის აღზრდილი ჰქვია. ქალბატონ ვერას პიროვნებაზე და პროფესიონალიზმზე შეიძლება უსასრულოდ ბევრი ითქვას. მე სიამოვნებით ვისხენებ იმ ბედნიერ წლებს, როდესაც მისი ხელმძღვანელობით ვმუშაობდი და ვყალიბდებოდი ბალერინად, მასთან მოვამზადე ბევრი წამყვანი პარტია.

ვერა, ჩემი აზრით, ყველა დროის ბალერინაა. დღესაც რომ სცენაზე იდგეს, ისეთივე შეუდარებელი იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ბალეტი ბევრად დაიხვეწა და ცეკვის ტექნიკაც წინ წავიდა.

მცირე პერიოდი საბალეტო სასწავლებელში მუშაობდა. მაშინ პატარა ვიყავი, ის კი უფროსებს ასწავლიდა. მისი მოსწავლეები ძელთანაც პუნტებზე ვარჯიშობდნენ, რაც პატარა ბალერინას მიკვირდა. იგი ძალიან დიდი ყურადღებას აქცევდა პუნტებზე შესრულებულ ტექნიკას. არასდროს მქონია რეპეტიცია „ნახევარ ფეხში“ თანმიმდევრობის სწავლის მიზნით რეპეტიციაზე უკვე ყველანაირად მომზადებული მივდიოდი. ვერას ყოველი რეპეტიცია სპექტაკლივით იყო. ცდილობდა ყოველ წუთს არ შევეჩერებინე, მხოლოდ ბოლოს მეუბნებოდა შენიშვნებს. ამით მან დიდი ფიზიკური გამძლეობა გამომიშვავა. დიდ ყურადღებას აქცევდა სამსახიობო მხარეს, რეპეტიციაზეც ყოველთვის მთხოვდა ისეთივე ემოციური ვყოფილიყავი, როგორც სპექტაკლზე. მახსოვს ჟიზელის დებიუტის შემდეგ უფროსი თაობის მოცეკვავემ მითხრა – „Вера тебя сделала под себя“. მე ეს ნათქვამი დაუმსახურებელ კომპლიმენტად მივიღე. პირიქით ვერა არასდროს გაიძულებდა მისეულად გეცეკვა, იგი გაძღვედა საშუალებას საკუთარი ინდივიდუალობა გამოგვევლინა. სპექტაკლის შემდეგ არასდროს გადაგვლიდა შენიშვნებით, „შენიშვნებს ხვალ გეტყვიო“ – მეტყოდა ხოლმე.

„ვერა ვარლამოვნა“ – ასე ვეძახი მას დღემდე. ჩვენი ურთიერთობა არ იყო ჩვეულებრივი. ვერას საოცარი იუმორი ჰქონდა, მუშაობის პროცესი არ იყო მშრალი და დაძაბული, სწორედ მის უსაზღვრო პროფესიონალიზმთან ერთად, მისი იუმორი და უშუალოება ქმნიდა საოცარ შემოქმედებით პროცესს. ერთ-ერთი ასეთი დამძლეული რეპეტიციის შემდეგ ოპერის თეატრის წინ ტრანსპორტს ველოდებოდი, როდესაც ვერაჩკა დავინახე, ქუჩაზე გადასვლას აპირებდა. მოძრაობა საღამოს გადატვირთული იყო, შეემშინდა და ვთხოვე მიწისქვეშა გადასასვლელით ესარგებლა. მაგრამ ვერა ბუმბულივით ჰაეროვნად, როგორც „ჟიზელი“ მეორე მოქმედებაში, გაიქცა და ქუჩის მეორე მხრიდან დიდი რევერანსი გამიკეთა.



It is fortunate that there are people relationship with whom can strengthen and give you the kind of life experience and human qualities that stay with you for the rest of your life.

I am among the lucky ballerinas raised by Vera Tsignadze. We could talk endlessly about her personality and professionalism. It is with pleasure that I recall the happy years under her guidance, when I was developing as a ballerina and prepared many principal roles with her.

Vera in my opinion was a ballerina of all times. She would be just as incomparable today, despite the fact that ballet has developed much, and technique of dance has also moved forward.

She worked at the Tbilisi Ballet School for a short period of time. I was little then, and looked on as she taught senior students. Her pupils exercised on points even while at bars, which I – as a young ballerina – was surprised to see. She paid a lot of attention to pointe technique. I never had a “half step” rehearsal with her, and always went to rehearsals fully prepared. Every one of those was like a full performance. She tried not to stop me frequently for notes, only taking the time at the end. This gave me a lot of physical endurance. She also stressed the acting side, asking me to be as emotional on rehearsals as in performance. I remember a senior dancer telling me following my *Giselle* debut: “Vera has tailored you under herself”, which I accepted as undeserved praise. But she never forced us to dance her way, always granting us the opportunity to express our individuality, and even avoiding tiring you by pointing out observations after a performance. “We’ll talk about it tomorrow”, she would say.

I still call her “Vera Varlamovna” – our relationship was not common. Vera had amazing sense of humor and working with her was never dry and tense. Her professionalism, coupled with her humor and frankness, is what made for our amazing creative process. I remember waiting at a bus stop in front of the Opera House after one of such rehearsals and seeing Verachka intend to cross the street through the evening’s busy traffic. I felt concerned for her safety and asked her to use underground crossing, but she ran over the street gracefully, like *Giselle* in Act Two, and curtsied to me from the other side of the road.



ვერა ტიგნაძე „ლაურენსიას“ პრემიერის დღეს მისი სახელუბის ვარსკვლავის გამოცხადების ცერემონიაზე თბილისის ოპერის თეატრში. 18 აპრილი, 2007 წ.  
VERA TSIGNADZE ON THE 2007 LAURENCIA PREMIERE DAY DURING A CEREMONY OF ANNOUNCING THE STAR NAMED AFTER HER. TBILISI OPERA AND BALLET THEATRE, APRIL 18, 2007



თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართულ პროგრამაში საბალეტო დასმა წელს მესამედ მიიღო მონაწილეობა. ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამის წარმოდგენამდე სასტუმრო „რუმსში“ საბალეტო დასის წარმომადგენლები შეხვდნენ ფესტივალზე აკრედიტებულ უცხოელ და ქართველ თეატრალურ კრიტიკოსებს და მათ საბალეტო დასის საქმიანობა გააცნეს.

**TBILISI FESTIVAL OF THEATRE**

The Georgian Program of the Tbilisi International Festival of Theatre featured the company's performance for the second time. Before their show of a one-act ballet program members of the company met international and local theatre critics at the Rooms Hotel and talked to them about the troupe's work.

03.10.2014

**ბასტროლები / TOURS**

**ბელარუსი**

საბალეტო დასმა მონაწილეობა მიიღო ბელარუსში გამართულ ფესტივალში „საბალეტო ზაფხული დიდ თეატრში“. მინსკის ოპერისა და ბალეტის დიდი თეატრის სცენაზე საბალეტო დასმა შეასრულა ჯორჯ ბალანჩინის („მოცარტიანა“, „ჩაიკოვსკი პა დე დე“, „Concerto Baroc-ცი“), ირუი კილიანის („Petite Mort“, „დაცემული ანგელოზები“), საშა ევტიმოვას („საიდუმლო ბალი“) და იური პოსოხოვის („საგალობელი“) ერთმოქმედებიანი ბალეტები. გასტროლში მონაწილეობდა პრიმა-ბალეტრინა ნინო ანანიაშვილი, რომელმაც ფრედერიკ ეშტონის ბალეტში „მარგარიტა და არმანი“ მთავარ პარტია იცეკვა. საბალეტო დასთან ერთად გასტროლში მონაწილეობდნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი დავით მუქერია, მევიოლინეები – ლელა მჭედლიძე, ნინო ციტაიშვილი და პიანისტი თამარ მაჭავარიანი.



**BELARUS**

The company took part in the Summer of Ballet at the Bolshoi Theatre festival in Belarus, presenting *Mozartiana*, *Tchaikovsky pas de deux* and *Concerto Barocco* by George Balanchine, *Petite Mort* and *Falling Angels* by Jiri Kylian, *The Secret Garden* by Alexandra Evtimova and *Sagalobeli* by Yuri Possokhov in a one-act ballet bill. The tour featured Prima Ballerina Nina Ananiashvili – who danced the lead role in *Marguerite and Armand* by Frederick Ashton, another piece of the performance – as well as Tbilisi Opera and Ballet Theatre Conductor David Mukeria, violinists Lela Mtchedlidze and Nino Tsitaishvili, and pianist Tamar Matchavariani.

04-07.07.2014



**ფინეთი**


ფინეთში, ლაჰტის საერთაშორისო საბალეტო ფესტივალზე საბალეტო დასმა ორი სპექტაკლი გამართა. სიბელიუსის საკონცერტო დარბაზში წარმოდგენილი იქნა ერთმოქმედებიანი ბალეტები: „საგალობელი“, „გელინო“, „ეს თავდაყირა სამყარო“ და „Falling Angels“. ლაბტის ფესტივალის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელია ალექსეი ფადეეჩევი.



**FINLAND**

The Lahti International Ballet Festival in Finland saw two shows by the company, the Sibelius Concert Hall hosting a performance of one-act ballets *Sagalobeli*, *Gelino, Oh, Inverted World* and *Falling Angels*. The Lahti festival was founded by its Artistic Director Alexey Fadeychev.

26-27.09.2014



**პორტუგალია, ესპანეთი**

7 დეკემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი, ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით, საგასტროლოდ გაემგზავრა პორტუგალიასა და ესპანეთში. 11 დეკემბერს გასტროლი ქალაქ სინტრაში ორმოქმედებიანი გალა-კონცერტით, რომლის პროგრამაში წარმოდგენილი იქნა საბალეტო დივერტისმენტი და ერთმოქმედებიანი ბალეტი „საგალობელი“. ამავე ქალაქში საბალეტო დასმა „მაკნატუნა“ ორი სპექტაკლი გამართა. გასტროლის შემდეგი სპექტაკლები 13 და 14 დეკემბერს პორტუგალიის დედაქალაქში ლისაბონში გაიმართა. 16 დეკემბრიდან საბალეტო დასის გასტროლი ესპანეთში გაგრძელდა. „მაკნატუნა“ წარმოდგენილი იქნა ესპანეთის ქალაქებში: ალიკანტე (16.12), ტორევისა (18.12) და პამპლონა (21.12).

**PORTUGAL AND SPAIN**

The company embarked on a tour of Portugal and Spain on December 7, with a two-act gala concert in town of Sintra in Portugal opening the performances on December 11 and featuring a ballet divertissement and one-act ballet *Sagalobeli*. The town also saw two shows of *The Nutcracker*, while the follow-up performances were held in Lisbon on December 13 and 14. The company then moved on to Spain with *The Nutcracker* shows in Alicante (December 16), Torrevieja (December 18) and Pamplona (December 21).

10-21.12.2014

**ბურნონვილი ბიარიცში**

საფრანგეთის საკურორტო ქალაქი ბიარიცი ბალეტის ახალგაზრდა მოცეკვავეების ტრადიციულ საზაფხულო სკოლას მასპინძლობდა. მეცადინეობებს დანიელი ქორეოგრაფები და ბალეტმასტერები ატარებდნენ. ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების ორგანიზებითა და დაფინანსებით ბიარიცში ამჯერად საბალეტო დასის სოლისტი გიორგი მშვენერაძე და მოცეკვავე მარიამ ელოშვილი მონაწილეობდნენ. ახალგაზრდა ქართველმა მოცეკვავეებმა სკოლის დასრულების შემდეგ გამართულ გალა-კონცერტში იცეკვეს ბურნონვილის პა დე დე როსინის „ვილჰელმ ტელის“ მიხედვით, რომელიც თბილისში ირინე ჯანდიერთან მოამზადეს.

**BOURNONVILLE IN BIARRITZ**

The French resort town of Biarritz hosted another installment of the Summer school Bournonville in Biarritz with workshops led by choreographers and ballet masters from Denmark. With organizing and support by the Friends of the Georgian Ballet the company was represented at the school by Soloist Giorgi Mshvenieradze and company dancer Mariam Eloshvili. The two performers danced the *Bournonville pas de deux* based on *Guillaume Tell* by Gioachino Rossini at a gala concert following the conclusion of the workshop. Mshvenieradze and Eloshvili had prepared the piece for the gala in Tbilisi with Irine Jandieri.


28.07-04.08.2014



# ბალანჩინის იუბილე A Balanchine anniversary

ჯორჯ ბალანჩინის დაბადებიდან 110 წლის იუბილე თბილისში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მონაწილეობით 2014 წლის მაისში გაიმართა. საიუბილეო პროგრამის მნიშვნელოვანი მოვლენა ამერიკელი ფოტოგრაფის პაულ კოლნიკის ფოტონამუშევრების გამოფენა და ბალანჩინის ბალეტის „Concerto Barocco“ პრემიერა გახდა, რომელიც თბილისის საკონცერტო დარბაზში გამართულ გალა-კონცერტზე შესრულდა. გალა-კონცერტს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, მთავრობის წევრები და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატები ესრებოდნენ. გალა-კონცერტის წინ მაცურებელს სიტყვებით მიმართეს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა, იმ დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ და საბალეტო დასის ხელმძღვანელმა ნინო ანანიაშვილმა. გალა-კონცერტის შემდეგ „ივენთ ჰოლში“ ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებამ მიღება გამართა. ქვემოთ გთავაზობთ საიუბილეო მასალებს.

The 110 years anniversary of George Balanchine's birth was celebrated in Tbilisi in 2014 with support by the United States Embassy. Among the significant events of the celebrations were the exhibition of works of the American photographer Paul Kolnik and the ballet company's premiere of the late choreographer's *Concerto Barocco* at a gala concert hosted by the Tbilisi Concert Hall, attended by Georgia's prime minister and parliament speaker as well as government members and the diplomatic corps. The audience was addressed by the US Ambassador Richard Norland, Georgia's former Foreign Minister Maia Panjikidze and the Ballet Company Director Nina Ananiashvili, while the concert was followed by a Friends of the Georgian Ballet reception at the Tbilisi Event Hall. Below we present the anniversary materials for our readers.





ბარტ კუკი:

*New York City Ballet -ს  
ყოფილი სოლისტი,  
ბალანჩინის ფონდის ბალეტმაისტერი*

„ბალანჩინი ჩემთვის  
ცხოვრების მასწავლებელი  
იყო“

Bart Cook:

*Former soloist at Balanchine's New York  
City Ballet and ballet master at  
The Balanchine Trust*

“Balanchine was my teacher  
on life”

მზეხა მახარაძე

By Mzekha Makharadze

მოცეკვავეები ჯორჯ ბალანჩინს ღიმილით „მისტერ ბის“ ეძახდნენ. თქვენც ასე მიმართავდით მაესტროს?

დიახ, ასე მოკლედ, თუმცა პატივისცემით. თუ დაავი-  
ანებდი რეპეტიციაზე, ან რამე პრობლემა შეგექმნებოდა,  
მაშინ – მისტერ ჯორჯ ბალანჩინ, ასე მივმართავდით  
ხოლმე მოცეკვავეები, მაგრამ თუ ყველაფერი კარგად  
იყო და თანაც კარგ ხასიათზეც, ამ დროს უფრო ახლობ-  
ლურად, – მისტერ ბი. მე 19 წლის ვიყავი როდესაც პირ-  
ველად მივედი New York City Ballet-ში, იმდენად ბევრი  
მოცეკვავე იყო ბალანჩინის დასში, ძალიან რთული  
იყო ყველას სახელის დამახსოვრება, ამიტომაც 4 წელი  
დასჭირდა, რომ ბალეტმაისტერს ჩემთვის სახელით  
მოემართა.

Balanchine's dancers called him “Mr B”, with a smile.  
Was it also how you addressed the maestro?

Yes, it was this short but respectful form that I used.  
If you were late to his rehearsal or had some kind  
of issue you would say “Mr George Balanchine”,  
but if everything was all right and he was in  
good mood, it was the more familiar “Mr  
B”. I was nineteen when I joined  
the New York City Ballet and there  
were so many dancers that it was  
difficult to remember all of their  
names, so it took him four years until  
he could use my name when address-  
ing me.



**როგორი იყო რეპეტიციებზე ლეგენდარული ჯორჯ ბალანჩინი, რომელსაც „ბალეტის შექსპირს“ უწოდებდნენ, როდესაც ბალეტის რეჟისურაზე მუშაობდა, როდესაც გისხსნიდათ უსიუჟეტო ბალეტის კონცეფციასა და ქორეოგრაფიულ სტრუქტურას, თავის სტილთან, ფორმებთან, ტექნიკასთან, პლასტიკასთან შეხებას გასწავლიდათ?**

რთულია ამის აღწერა, მაგრამ ახლაც თვალწინ მიდგას მისი რეპეტიციები, ეს ფანტასტიური დრო იყო, მასთან მუშაობა უდიდესი ბედნიერება და პატივი. ყველა მუსიკალური ფრაზა, ყოველი პაუზა, მუსიკალური პარტიტურა, რაზეც დადგა ბალეტები, ზეპირად იცოდა და წარმოიდგინეთ, როგორც თოჯინების თეატრში მარიონეტებს ათამაშებენ, დაახლოებით ასე მუშაობდა და ასე გვაცეკვებდა ჩვენც. მე სულ ვცდილობდი ყოველი მისი დავალება მაქსიმალურად კარგად შემესრულებინა. ძალიან ბევრი ისტორია მაქვს „მისტერ ბიზე“, მაგრამ ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც უკავშირდება ბალეტს Concerto Barocco და თავად ბალანჩინს: 1975 წელს ნიუ-იორკში მახსოვს, კულისებში ჩემთვის, მოწყენილი მარტო ვიდექი. ამ დროს ბალანჩინის მოცეკვავეები სცენაზე Concerto Barocco-ს რეპეტიციას გადიოდნენ. მე არ მინდოდა სასტუმროში დავბრუნებულიყავი, კულისებიდან ვაგრძელებდი მათი რეპეტიციის ყურებას. მანამდე ეს ბალეტი მე მქონდა ნანახი Salt Lake City-ში, როდესაც პირველად ვნახე და გავიგე ბალანჩინის ქორეოგრაფიაზე და აი, მაშინვე დავინტერესდი და დიდი სურვილი გამიჩნდა ჯორჯ ბალანჩინი არა მარტო გამეცნო, არამედ მასთან ერთად მემუშავა. რეპეტიციის მერე, ჩემთან მოვიდა მამაკაცი, რომელმაც თურმე შორიდან შემამჩნია და მეკითხება: რა მოგივიდა? რაზე გაწუხებსო? – მე ცრემლები წამომივიდა და ვუპასუხე: – რა ლამაზი ბალეტია!.. – მეტის თქმა ვერ შევძელი. ჩემს წინ იდგა ჯორჯ ბალანჩინი, რომელიც იმ დღიდან ჩემთვის გახდა არა მარტო ბალეტმაისტერი, არამედ ცხოვრების მასწავლებელიც.

Concerto Barocco – ეს წამოუდგენლად ლამაზი ბალეტია, ბევრი თეატრი ითხოვს ეს ბალეტი იყოს მათ რეპერტუარში, შესრულება არ არის ძალიან რთული, ქართულ საბალეტო დასში საუკეთესო შედეგის მისაღებად მოცეკვავეები მაქსიმალურად იხარჯე-

ბიან, ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ბალანჩინის საიუბილეო საღამოზე მშვენიერ ნამუშევარს ნახავთ. ნინო ანანიაშვილი არაჩვეულებრივი ხელმძღვანელია, ის ხედავს თავისი დასის შესაძლებლობებს, გრძნობს რეპერტუარს და იცის, რომელი ბალეტებით შეიძლება გაამდიდროს და გააფართოვოს. 10 წლის წინ ვიყავი ბოლოს საქართველოში ჩამოსული. ახლა ვხედავ, რომ დასი შეცვლილია. ჩვენი მიზანია ბალანჩინის 11 ბალეტს, რაც არის დასის რეპერტუარში, შევუნარჩუნოთ მისი შესრულების ხარისხი, ბალანჩინის ქორეოგრაფიული ტექსტი. ქართველი ბალეტინები ბალანჩინის იმდენად კარგად ცეკვავენ, ძალიან მაღალ დონეზე, რომ რუსეთიდანაც კი ჩამოდიან ამ სპექტაკლების სანახავად.

**რას ამბობდა ხოლმე „მისტერ ბი“ თავის სამშობლოზე?**

როდესაც „მისტერ ბის“ ეკითხებოდნენ: – სადაური ხარ? – მე ქართველი ვარ! სულ ასე პასუხობდა, მიუხედავად იმისა, რომ წამომავლობით ნახევრად რუსი იყო, დაბადებული – პეტერბურგში. პირველად საქართველოში რომ ჩამოვედი, ეს იყო 1972 წელი, მეორე წელი, რაც ბალანჩინის დასში ვცეკვავდი. ამ დროს New York City Ballet-ს ჰქონდა ტურნე – ვიყავით რუსეთში, პოლონეთში, უკრაინაში და ჩამოვედით საქართველოში. ამ დროს მოგეხსენებათ, ცუდი დრო იყო, საბჭოთა კავშირის პერიოდი. რუსეთში საშინელი კვება გვქონდა, მაშინ მოვიდა ბალანჩინი, დაგვამშიდა და გვითხრა: არ ინერვიულოთ, თბილისში რომ ჩავალთ საუკეთესო ღვინო და კერძები დაგვხვდებათ... მძიმე გრაფიკი გვქონდა, ძალიან დაღლილები ვიყავით იმიტომ, რომ ჩვენს სპექტაკლებზე მაყურებელთა დიდი ინტერესი იყო, ამიტომ კვირაობითაც ვცეკვავდით დასში მოცეკვავეებს ტრავმები ჰქონდათ, მაგრამ როდესაც თბილისში ჩამოვედით, ამოვისუნთქეთ! ისეთი გემრიელი სამზარეულო, როგორც საქართველოშია, არა მგონია კიდევ სხვანაირად მოიძებნოს. მაშინ გავსინჯე პირველად ქართული კერძები, დასში ყველანი ენერგიად მოვედით და ბევრად უკეთესად ვიცეკვეთ, ვიდრე რუსეთში.

WWW.24SAATI.GE



24 | Arabesque №24





**What was it like to watch the legendary Balanchine – sometimes referred to as “The Shakespeare of Ballet” – during rehearsals? What was he like while working on direction, explaining concepts and choreographic structure of his ballets without plot, and teaching you how to relate to his style, forms, technique and plastics?**

It is difficult to explain but I still vividly remember his rehearsals. It was a fantastic time and working with him was greatest of joys and great honor. He knew all musical phases, every pause and score he used for staging ballets by heart. You can imagine the way they use strings to play dolls in puppet theatre to picture the way he worked. I always tried to carry out all of his directions as well as possible. I have many stories to tell about Mr B, but I will recall one relating to *Concerto Barocco* and Balanchine. It was 1975 in New York and I remember standing alone and sad on the wings while *Concerto Barocco* was rehearsed by his dancers. I did not want to return to my hotel so I stood there watching this ballet I had first seen in Salt Lake City where I had first learned about the Balanchine choreography and had great wish to not only meet but work with him. And here comes this man following the rehearsal to ask me “Are you all right? Is anything wrong?” I had tears in my eyes when I answered saying “What a beautiful ballet!” That was all I managed to say. In front of me was George Balanchine, who since that day became not only a ballet master, but a teacher on life for me.

*Concerto Barocco* is an incredibly beautiful ballet, with many theatres asking to have it in their repertory. It is not overly difficult to perform, and dancers of your company do their utmost for seeing the best results of their work, so I am confident you will see a wonderful piece

at the Balanchine Anniversary Evening. Nina Ananiashvili is a remarkable manager, seeing the potential of her company, feeling the repertory and knowing which ballets she can use to enrich and broaden it. I last visited Georgia a decade ago and I can see the company has changed. Our goal is to preserve the performing quality and Balanchine’s choreographic text, concept and sketch of the eleven pieces of his work in the company’s repertory. The Georgian ballerinas dance Balanchine so well and on such high level that there are people in the audience even traveling from Russia to see their performances.

**What would Mr B say when asked about the country of his origin?**

Whenever asked about his origins he would always say he was Georgian, despite also having Russian roots and having been born in St Petersburg. My first visit to Georgia in 1972 – my second year in his company – was during the New York City Ballet’s tour, in frames of which we visited Russia, Poland, Ukraine and Georgia. As you know it was not a very good time, the Soviet period, and we had awful meals in Russia. Balanchine came to tell us to wait until our travel to Georgia and see the best food and wine our hosts would offer us there. We had very busy schedule in Russia and were very tired, as due to great interest for our shows we had to perform on Sundays too. There were injuries in the company as a result. But we were all relieved when we got to Tbilisi. I doubt there is a cuisine more delicious than the Georgian one, anywhere. Having tasted the Georgian dishes for the first time we all regained our energy and performed much better than in Russia.

WWW.24SAATI.GE

# ბალანჩინი: მუდმივად აწმყოში

პაულ კოლნიკის ფოტოგამოფენის  
გახსნა ხელოვნების სასახლეში

2014 წლის 18 მაისს თბილისში, ხელოვნების ისტორიულ სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა ახლად რესტავრირებული რვა საგამოფენო და ისტორიული დარბაზი. რეაბილიტაციის პროექტი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ დააფინანსა.

სასახლის დარბაზებში მხატვარ-რესტავრატორებმა უძველესი მხატვრობის ფრაგმენტები აღმოაჩინეს და მისი მეშვეობითაც შეძლეს მათთვის პირვანდელი სახე დაებრუნებინათ.

აღდგენილია დავით არსენიშვილის, რევაზ ლალიძის, ჯორჯ ბალანჩინის, თეატრალური და სვეტებიანი დარბაზები, ასევე დამთვალიერებელს ელოდება კოლხი მედეას და ოქროს ვერძის ოთახები.

სასახლის პირველ სართულზე, 18 მაისს, ჯორჯ ბალანჩინის დარბაზი გაიხსნა, სადაც თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მხარდაჭერით გაიხსნა ცნობილი ამერიკელი ფოტოგრაფის პაულ კოლნიკის ფოტოგამოფენა „ბალანჩინი: მუდმივად აწმყოში.“ პაულ კოლნიკი წლების განმავლობაში იღებდა ბალანჩინის რეპეტიციებს და „ნიუ იორკ სითი ბალეს“ სპექტაკლებს. ფოტოგამოფენა ჯორჯ ბალანჩინის 110 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო და ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდა.



ნინო ანანიაშვილი,  
აშშ ელჩი რიჩარდ  
ნორლანდი და  
ბარტ კუკი  
  
NINA ANANIASHVILI,  
US AMBASSADOR  
RICHARD NORLAND,  
BART COOK



მუზეუმის დირექტორი  
გიორგი კალანდია  
გამოფენის გახსნაზე  
  
MUSEUM DIRECTOR  
GIORGI KALANDIA AT  
THE OPENING OF THE EXHIBITION


The historic Palace of Arts in Tbilisi hosted a celebratory opening of the newly renovated eight exhibition and historic halls on May 18, 2014, with the renovation works financed by the US Embassy.

The restoration painters discovered fragments of ancient paintings while working in halls and restored their initial style. The renovated rooms include halls named after David Arsenishvili, Revaz Laghidze, George Balanchine, the theatrical and pillar halls as well as the Medea of Kolkheti and the Golden Fleece rooms.

The first floor of the palace hosted the opening of the George Balanchine hall with an exhibition *Balanchine: The Eternal Present* by well-known American photographer Paul Kolnik, with the support of the Tbilisi Opera and Ballet State Theatre. Kolnik spent years photographing Balanchine rehearsals and New York City Ballet performances. The exhibition was organized in frame of the celebration of the 110th anniversary of George Balanchine and was open for viewers for one week.

## Balanchine: The Eternal Present

OPENING OF A PAUL KOLNIK EXHIBITION  
AT THE PALACE OF ARTS



# ამბები საქართველოში გამართული საბალეტო გალადან

ელიზაბეთ კენდელი

By Elizabeth Kendall

MAGAZINE  
**DANCE**

03.06.2014

## Dispatch from The Georgian Ballet Gala

საქართველო, მშვენიერი მთიანი მხარე კავკასიის მთებში, ევროპასა და აზიას შორის, ბალანჩინის მამის – მელიტონ ბალანჩივადის სამშობლოა. ეს ქვეყანა ასევე გახლავთ პოლიტიკური მოვლენების ადგილი, სადაც 2003 წლის მშვიდობიანმა „ვარდების რევოლუციამ“, რომელ-

საც დასავლეთში განათლებამიღებულ მიხეილ სააკაშვილი უძღვებოდა, ქვეყანა რუსული და საბჭოთა სივრციდან შეერთებული შტატებისა და დასავლეთისკენ შემოაბრუნა. 23 ივნისს ანანიაშვილმა მოახერხა მოეწყო გალა-კონცერტი საქართველოსთან დაკავშირებული



ანასტასია სტაშკევიჩი და  
ვიჩესლავ ლოპატინი  
ANASTASIA STASHKEVICH,  
VYACHESLAVLOPATIN



იანა სალენკო, რაინერ კრენსტეტერი  
JANA SALENKO, RAINER KRENSTETTER



მაია მახათელი და არტურ შხუბერიკოვი  
MAIA MAKHATELI, ARTURSHETERIKOV

და აღმოსავლეთსა და დასავლეთში აღიარებული კულტურული ფიგურის – ჯორჯ ბალანჩინის 110 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

წითელმა ხალიჩამ სალამოზე შეკრებილი მოელვარე საზოგადოება ფილარმონიის წრიულ, მინის დარბაზში შეაცილა, რომელიც დასის დროებითი სახლია, სანამ მათი საოპერო თეატრის

შენობა განახლების პროცესშია. სალამოს კულმინაცია, პირველი ანტრაქტის შემდეგ, ბალანჩინის 1941 წლის კამერული ნაშრომის „Concerto Barocco“-ს ქართული პრემიერა იყო. ბალეტი კარგად იყო შერჩეული ფილარმონიის განიერი სცენისთვის. კორდებალეტის რვა ახალგაზრდა ბალერინა სიამაგით და სიამოვნებით ცეკვავდა

– მათ ბალეტის ჯაზურ მუსიკალურ აქცენტებზე რეაგირებასაც შეატყობდით. ეკა სურმაგამ, რომელსაც დავით ანანელი უწევდა პარტნიორობას, განსაკუთრებული ქალური სიმშვიდე აჩვენა, ორი ვიოლინოს ადაჟიოს ფონზე. „ბაროკო“ ბარტ კუკის მზრუნველი ხელით დაიდგა, მასზე ლიცენზიის მიღება კი, ჩემდა საამაყოდ, ამერიკის საელ-

Georgia, a beautiful mountainous land in the Caucasus mountains between Europe and Asia, is the birthplace of Balanchine's father, Meliton Balanchivadze. It's also a political hotspot, where in 2003 a peaceful Rose Revolution led by Western-educated Mikheil Saakashvili spun the country away from the Russian-Soviet sphere, towards the US and the West. Now Saakashvili's been voted out, and the Georgian State

ministers and ambassadors) into the round glass Philharmonia Hall, the company's temporary home while its own opera house is renovated. The evening's high point came after the first intermission, with the Georgian premiere of Balanchine's 1941 chamber work, *Concerto Barocco*, well-chosen for the Philharmonia's shallow stage. The eight young corps girls danced bravely and with some delight — you could almost see them springing

land. Afterwards at the reception in the theater's lobby, Cook and his hard-working, now glammed-up young dancers hugged each other in a cathartic finale.

"Balanchine's works are for dancers what the classical Greek architecture is for modern architects," Ananiashvili wrote in her program note. Her company already dances 10 other Balanchine ballets, one of which, *Serenade*, opened the evening. Even with grim and



რიო კატო  
RYO KATO



ლალი კანდელაკი და იგორ ზელენსკი  
LALI KANDELAKI, IGOR ZELENSKY



ელენე გლურჯიძე და რიო კატო  
ELENA GLURDJIDZE, RYO KATO

Ballet, directed since 2004 by Georgian-born Bolshoi superstar Nina Ananiashvili, must struggle to survive. But on May 23rd, Ananiashvili managed anyway to put together a gala concert celebrating the 110th birthday of the one Georgian-linked cultural figure revered by both East and West: George Balanchine.

A red carpet ushered a glittering crowd (including various

to attention amid the ballet's jazzy musical accents. In the middle movement, Eka Surmava partnered by David Ananeli offered a special feminine serenity as the two violins wove their elastic adagio. Barocco was staged lovingly by Bart Cook and Maria Calegari, and its acquisition subsidized, this reviewer is proud to say, by our own American embassy, under the guidance of ambassador Richard B. Nor-



ელენე გლურჯიძე  
ELENA GLURDJIDZE

მაია მახათელი და არტურ შესტირიკოვი  
MAIA MAKHATELI, ARTUR SHESTERIKOV



ბალეტს ცეკვავს, რომელთაგან ერთ-მა – „სერენადა“ სალამო გახსნა. ბალეტმა, მისი პირქუში და უჰაერო მომენტებითაც კი, მოცეკვავეები და მაცურებელი ჩაიკოვსკის სწრაფ სავიოლინე მდინარეში ჩააბა.

სალამო ბალანჩინის პა დე დეების სერიამ დაასრულა, რომლებიც იცეკვს ქართველმა და უცხოელმა მოწვეულ-

სებიდან. თბილისის დასის სოლისტმა რიო კატომ „ტარანტელას“ მოთამაშე ატმოსფერო შემატა (მას მოგვიანებით ყვავილები და რბაზში მყოფმა ყველაზე ახალგაზრდა ბალანჩინივადემ – 5 წლის მარიამმა გადასცა), ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის წამყვანმა სოლისტმა მაია მახათელმა კი „ჩაიკოვსკის პა დე დეში“ რბილი ფემინურობა

„ჩაკონას“ ფინალით დახურა. გალა რამდენიმე დღიანი ფესტივალის დასასრული იყო, რომლის პროგრამაში ასევე პაულ კოლნიკის „ნიუ იორკ სითი ბალეში“ გადაღებული საოცარი ფოტოების გამოფენა შედიოდა. გამოფენა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმის ახლად აღდგენილ (ასევე

ჩომ დააფინანსა, ელჩის – რიჩარდ ბ. ნორლანდის ხელმძღვანელობით. წარმოდგენის შემდეგ, თეატრის მოსაცდელში ემოციური ფინალი შედგა, სადაც ბარტკუკი და სპექტაკლის შემდგომ გლამურულად გამოწყობილი ახალგაზრდა მოცეკვავეები ერთმანეთს ეხვეოდნენ.



„სერენადა“  
SERENADE



„ბალანჩინის ნაწარმოებები მოცეკვავისთვის იგივეა, რაც თანამედროვე არქიტექტორისთვის კლასიკური

ბერძნული არქიტექტურა“ – წერდა ანანიაშვილი პროგრამის წინასიტყვაში. მისი დასი ბალანჩინის კიდევ ათ

მა მოცეკვავეებმა – ინგლისისა და ჰოლანდიის ნაციონალური, ბერლინის სახელმწიფო და დიდი თეატრის და-

შეიტანა. კონცერტი თეთრებით შემოსილი თბილისის ოპერის თეატრის საბალეტო დასის კორდებალეტმა

ჩვენი საელჩოს დახმარებით) შენობაში გაიმართა. ფოტოებიდან ზოგიერთზე ბალანჩინი საკუთარ მოცეკვავეებთან ერთად რეპეტიციებზეა გადაღებული. საოცარი იყო ასაკოვანი, თუმცა კვლავ ელევანტური ქორეოგრაფიის ნახვა მის სამშობლოში, რომელსაც ის თითქმის არ იცნობდა, თუმცა რომელიც მას ახლა საკუთრად თვლის.



airless moments, this *Serenade* still swept dancers and audience into Tchaikovsky's fast-flowing river of strings. And *Barocco* and *Serenade* together reminded the audience of Balanchine's seemingly personal interest in that old trope of romantic ballet, the all-female society. The female dancers of both *Serenade* and *Barocco* seem to be enacting strict and urgent rituals, even before a man comes

5-year-old Maria, later gave him flowers), and the Dutch National's Maia Makhateli contributed a liquid femininity to *Tchaikovsky Pas*. The concert ended with Tbilisi's white-clad corps de ballet in the finale of *Chaconne*.

This gala evening actually marked the end of a several-day festival, which also featured an exhibition of Paul Kolnik's wonderful photo-



მინი ანანიასვილი და დავით კინტურაშვილი  
NINA ANANIASHVILI, DAVID KINTSURASHVILI

on stage to observe, assist, support, lift some of them into the skies.

A series of Balanchine pas de deux rounded out the evening — danced by Georgian and foreign guests from the English National, Dutch National, Berlin State and Bolshoi ballets. The Tbilisi company's own Ryo Kato added a roguish air to *Tarentella* (the youngest Balanchivadze in the audience,

graphs of NYCB, held in the newly restored (also with help from our embassy) Tbilisi Museum of Theater, Music, Cinema and Choreography. Some photos showed Balanchine himself rehearsing his dancers. It was somehow wonderful to see the old and still elegant choreographer re-inserted into the landscape of the homeland he barely knew, but which today claims him as its own.



# Concerto Barocco

ამ ბალეტს „ბალანჩინის სულიერი სრულყოფილების“ ნიმუშს უწოდებენ. იგი ნეოკლასიკურ სტილში ბახის ორმაგი სავიოლინო კონცერტის ქორეოგრაფიულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. ბახის მუსიკაზე ბალეტის დადგმა პირველად ბრონისლავა ნიჟინსკაიამ სცადა (МТЮД-ბახ, 1926), 30-იან წლებში ფოკინს ჰქონდა ქორეოგრაფიაში ბახის მუსიკის გამოყენების მორიგი მცდელობა („სტიქები“ – The Elements, 1937). თუმცა ვერც ერთმა და ვერც მეორე სპექტაკლმა სიცოცხლე სცენაზე ვერ შეინარჩუნა.

ყველაზე წარმატებული ი. ს. ბახის მუსიკაზე დღემდე რჩება ჯორჯ ბალანჩინის „Concerto Barocco“, რომელიც ბახის ორმაგ სავიოლინო კონცერტზე (კონცერტი ორი ვიოლინოსა და სიმებიანი ორკესტრისათვის რე-მინორში) დაიდგა.

ბალანჩინი „Concerto Barocco“-ს შესახებ ამბობდა: „თუკი ქორეოგრაფი კლასიკური ცეკვის განვითარებაში მუსიკის განვითარების შესაბამისობას ხედავს და ორივე შესწავლილი აქვს, ის დიადი მუსიკალური

ნაწარმოებიდან მუდმივ შთაგონებას მიიღებს.“ ასეთი შთაგონება ბახის მუსიკისაგან ბალანჩინს 1930-იან წლებში პარიზში მიუღია, სადაც იმ დროს მოღვაწეობდა ახალგაზრდა გიორგი ბალანჩინიძე. 1932 წელს პარიზში მეტად პოპულარული იყო ბახის ორმაგი სავიოლინო კონცერტის გრამჩანაწერი. მეორე ვიოლინოს პარტიას ჩანაწერში ბალანჩინის მასწავლებელი – ჯორჯ ენესკუ ასრულებდა, პირველ ვიოლინოს კი – იეჰუდი მენუხინი, მისი მოწაფე. ბალანჩინი, როგორც ცნობილია, პროფესიულად უკრავდა ფორტეპიანოზე და შეეძლო პარტიტურის კითხვა; ამასთან იგი გრამფირფიტების ენთუზიასტი კოლექციონერიც იყო (და ხშირად, მეგობრებსაც ჩუქნიდა გრამჩანაწერებს); ბალეტმაისტერი პარიზში ცხოვრობდა, იმ წლებში კი ეს მოვლენა – კონცერტიც და მისი ჩანაწერიც – ყველას პირზე ეკერა... ქორეოგრაფისთვის შთაგონებაც ალბათ მაშინ დაიბადა. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ რამდენიმე წლის მანძილზე, ბალანჩინის მოცეკვავეები „Concerto Barocco“-ს, რეპეტიციებს სწორედ ენესკუ-მენუხინის ჩანაწერის თანხლებით ატარებდნენ.



This ballet is called an example of the soulful perfection of Balanchine. The piece represents a neoclassical choreographic interpretation of the Bach Concerto for Two Violins. The first attempt at staging a ballet on a Bach score was by Bronislava Nijinska (*Etude-Bach*, 1926) with Mikhail Fokine following in 1937 with *The Elements*, although neither pieces managed to maintain a place on stage.

*Concerto Barocco* remains the most successful ballet based on a score by the composer – namely the Concerto for Two Violins, Strings and Continuo in D Minor.

Balanchine said on the ballet “If the dance designer sees in the development of classical dancing a counterpart in the development of music and has studied them both, he will derive continual inspiration from great scores.” He drew the inspiration from Bach music in the 1930s Paris where he worked at a young age. The vinyl recording of the Concerto for Two Violins – with Balanchine’s

tutor George Enescu and the latter’s student Yehudi Menuhin performing the second and first violins respectively – was very popular in the French capital in 1932. Balanchine’s professional piano abilities are well known, and he could also read a score. He was also a vinyl enthusiast, collecting and often giving recordings to his friends. He lived in a city where both the concert and its recording were a talk of the town. That is probably when the choreographer was inspired by the piece, while it was also not incidental that his dancers held rehearsals for *Concerto Barocco* on the Enescu-Menuhin recording.

The ballet premiered on June 27, 1941 in Rio de Janeiro and, seventy years on, does not cease to amaze with its architectural sharpness, the beauty of ballerinas’ movements and the orderly shapes.





„Concerto Barocco“-ს პრემიერა 1941 წლის 27 ივნისს რიო დე ჟანეიროში შედგა. 70 წელზე მეტი ხნის შემდეგაც ეს ბალეტი დღესაც გვაკვირვებს ქორეოგრაფიის არქიტექტურული სიმკვეთრით, ბალერინების მოძრაობის სილამაზით და ფორმების წესრიგით.

ბალეტს თავდაპირველად ბალანჩინი ამერიკის საბალეტო სკოლაში რეპეტიციებისთვის იყენებდა; ის „ამერიკის საბალეტო ქარავანის“ ანსამბლმა სამხრეთ ამერიკის საგასტროლო ტურნეზე წარმოადგინა, მოგვიანებით კი მონტე კარლოს რუსული ბალეტის რეპერტუარის ნაწილი გახდა. 1951 წელს ბალანჩინმა თავდაპირველი კოსტიუმები შეცვალა და მოცეკვავეები სარეპეტიციო კოსტიუმებში გამოაწყო, რაც, როგორც მისი ბიოგრაფები აღნიშავენ, თანამედროვე ბალეტებში მის მიერ გამოყენებული კოსტიუმების პირველი მაგალითი იყო (რაც რამდენჯერმე გაიმეორა შემდეგ). 1948 წლის 11 ოქტომბერს „Concerto Barocco“ ნიუ იორკ სითი ბალეტს სეზონის პირველი წარმოდგენის პროგრამაში შეტანილი სამი ბალეტიდან ერთ-ერთი იყო.

თბილისში ბალეტი ბარტ კუკმა დადგა. ბალანჩინის ფონდის ბალეტმაისტერი და ქორეოგრაფის ყოფილი მოსწავლე დასთან სამუშაოდ მეხუთედ ჩამოვიდა. დაძაბული და შემოქმედებითად საინტერესო რეპეტიციები ორი კვირა გაგრძელდა. პრემიერაზე კი, თბილისის საკონცერტო დარბაზში, ბალანჩინის „Concerto Barocco“-მ მთელი თავისი სილამაზით გაიბრწყინა. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრს დავით მუქერია დირიჟორობდა, სოლო პარტიებს ვიოლინოზე კი ნინო ციტაიშვილი და თეა ჯავახია ასრულებდნენ.

ქორეოგრაფია ბახის პარტიტურას სინქრონულად მიყვება – ორი ვიოლინო ორკესტრთან ერთად და ორი ბალერინა-სოლისტი, რვა ბალერინასთან ერთად, მუსიკის ვიზუალურ აღქმას შესაძლებელს ხდის. ბალეტის მთელი ტექსტის თხრობა რვა ბალერინას მშვენიერი ცეკვით იქნა გადმოცემული. ისინი არ წარმოადგენენ კორდებალეტს, არამედ „Concerto Barocco“-ს ორგანული ნაწილი, ბახის მუსიკის ინტერპრეტაციის მთავარი შემოქმედნი იყვნენ, რომლებიც, ვიოლინოს



პარტიების მონაცვლეობასთან ერთად, დროდადრო სცენას უთმობდნენ პა დე დეს შემსრულებლებს. ეკა სურმაგას და ნუცა ჩეკურაშვილის დუეტი და შემდეგ მათთან ერთად დავით ანანელის ცეკვა უნისონში, ხაზების სიმკვეთრით და ბალანჩინის ქორეოგრაფიისათვის დამახასიათებელი სიზუსტით იქნა შესრულებული. ფინალურ ალევროში კი ანსამბლის სრული შემადგენლობა ბახის მუსიკის ხასიათს გამოხატავდა.

At first Balanchine used the piece for rehearsals at the American Ballet School. The American Ballet Caravan presented it during their tour of South America, while later the work became part of the Ballet Russe de Monte Carlo repertory. In 1951 Balanchine changed the original costumes forever, dressing his dancers in rehearsal pieces, which represented the first example of these costumes in the choreographer's contemporary ballets as noted by his biographers (he used the rehearsal costumes in more of his works later). *Concerto Barocco* was one of the three shows of the first New York City Ballet performance bill on October 11, 1948.

The ballet was staged in Tbilisi by Bart Cook. Ballet master of The Balanchine Trust and a former student of the choreographer had arrived to work with the Georgian company in a fifth installment of their collaboration and oversaw creatively tense and engaging rehearsals for two weeks. *Concerto Barocco* shone on its premiere at the Tbilisi Concert Hall with the Opera and Ballet Theatre Orchestra conducted by David Mukeria and

